პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი 1 მაისი 1942 წ. № 103 (6419) ფასი 15 კაპ.

გაუმარჯოს 1 მაისს—მუშათა კლასის საბრძოლო ძალთა დათვალიერების დღეს! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად!

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
თავდაცვის სახალხო კომისრისა

1942 წლის 1 მაისი № 130 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო, მუშებო, გლეხებო—კაცებო და ქალებო, ინტელიგენტური შრომის ადამიანებო, ფრონტს გადაღმა, გერმანელ ფაშისტთა ჯარების ზურგში მყოფო ძმებო და დებო, რომლებიც დროებით მოექეცით გერმანელ მჩაგვრელთა უღელქვეშ!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ 1 მაისის დღეს!

ამხანაგებო! წელს ჩვენი ქვეყნის ხალხები გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის ვითარებაში ეგებებიან 1 მაისის საერთაშორისო დღეს. ომმა თავისი დაღი დააჩნია ჩვენი ცხოვრების ყოველ მხარეს. მან დაღი დააჩნია დღევანდელ დღესაც, 1 მაისის დღესასწაულს. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მხედველობაში მიიღეს საომარი ვითარება და უარი განაცხადეს სადღესასწაულო დასვენებაზე, რათა დღევანდელი დღე გაატარონ დაძაბულ შრომაში ჩვენი სამშობლოს თავდაცვისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, რომლებიც ჩვენი ფრონტის მებრძოლებთან ერთიანი ცხოვრებით ცხოვრობენ, 1 მაისის დღესასწაული გადააქციეს შრომისა და ბრძოლის დღედ, რათა რაც შეიძლება მეტი დახმარება გაუწიონ ფრონტს და რაც შეიძლება მეტი შაშხანა, ტყვიამფრქვევი, ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტანკი, თვითმფრინავი, საომარი მასალა, პური, ხორცი, თევზი, ბოსტნეული მისცენ მას.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ფრონტი და ზურგი წარმოადგენენ ერთიან და განუყრელ მებრძოლ ბანაკს, რომელიც მზად არის გადალახოს ყოველგვარი სიძნელენი მტერზე გამარჯვების გზაზე.

ამხანაგებო! ორ წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ომის უფსკრულში გადასჩეხეს ევროპა, დაიპყრეს ევროპის კონტინენტის თავისუფლებისმოყვარე ქვეყნები—საფრანგეთი, ნორვეგია, დანია, ბელგია, ჰოლანდია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, იუგოსლავია, საბერძნეთი,—და სისხლს სწოვენ მათ გერმანელი ბანკირების გამდიდრების გულისათვის. ათ თვეზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი უსინიდისოდ და ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს ქვეყანას, სძარცვავენ და აჩანაგებენ ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს, ძალმომრეობენ და ხოცავენ ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის, უკრაინის, მოლდავეთის მშვიდობიან მოსახლეობას. ათ თვეზე მეტმა განვლო, რაც ჩვენი ქვეყნის ხალხები სამამულო ომს ეწევიან გამხეცებული მტრის წინააღმდეგ და თავიანთ სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას იცავენ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ საშუალება გვქონდა საკმაოდ კარგად დავკვირვებოდით გერმანელ ფაშისტებს, გაგვეგო მათი ნამდვილი განზრახვები, გაგვეცნო მათი ნამდვილი სახე, გაგვეცნო არა სიტყვიერ განცხადებათა საფუძველზე, არამედ ომის გამოცდილების საფუძველზე, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების საფუძველზე.

ვინ არიან ისინი, ჩვენი მტრები, გერმანელი ფაშისტები? რა ადამიანები არიან? რას გვასწავლის ამის შესახებ ომის გამოცდილება?

ამბობენ, გერმანელი ფაშისტები ნაციონალისტები არიან, რომლებიც გერმანიის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას იცავენ სხვა სახელმწიფოთა თავდასხმისაგანო. ეს, რა თქმა უნდა, სიცრუეა. მხოლოდ მატყუარებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ნორვეგია, დანია, ბელგია, ჰოლანდია, საბერძნეთი, საბჭოთა კავშირი და სხვა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნები გერმანიის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას ემუქრებოდნენ. ნამდვილად გერმანელი ფაშისტები არიან არა ნაციონალისტები, არამედ იმპერიალისტები, რომლებიც სხვის ქვეყნებს იპყრობენ და სისხლს სწოვენ მათ იმისათვის, რომ გერმანელი ბანკირები და პლუტოკრატები გაამდიდრონ. გერინგი, გერმანელ ფაშისტთა მეთაური, როგორც ცნობილია, თვითონ არის ერთ-ერთი პირველი ბანკირი და პლუტოკრატი, რომელიც ათობით ქარხნებისა და ფაბრიკების ექსპლოატაციას ეწევა. ჰიტლერი, გებელსი, რიბენტროპი, ჰიმლერი და ახლანდელი გერმანიის სხვა მმართველები გერმანელ ბანკირთა დაბმული ძაღლები არიან, რომლებიც ყველა სხვა ინტერესებზე მაღლა აყენებენ ამ ბანკირთა ინტერესებს. ამ ვაჟბატონთა ხელში გერმანიის არმია ბრმა იარაღია, რომელიც მოწოდებულია თავისი და სხვისი სისხლი ღვაროს და თავისი თავი და სხვები ასახიჩროს არა გერმანიის ინტერესებისათვის, არამედ გერმანელ ბანკირთა და პლუტოკრატთა გამდიდრებისათვის.

ამას გვეუბნება ომის გამოცდილება.

ამბობენ, გერმანელი ფაშისტები სოციალისტები არიან, რომლებიც ცდილობენ პლუტოკრატების წინააღმდეგ დაიცვან მუშებისა და გლეხების ინტერესებიო. ეს, რა თქმა უნდა, სიცრუეა. მხოლოდ მატყუარებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ გერმანელი ფაშისტები, რომლებმაც მონური შრომა შემოიღეს ქარხნებსა და ფაბრიკებში და რომლებმაც ბატონყმური წესები აღადგინეს გერმანიისა და დაპყრობილი ქვეყნების სოფლებში,—მუშებისა და გლეხების დამცველები არიანო. მხოლოდ გათავხედებულ მატყუარებს შეუძლიათ იმის უარყოფა, რომ მონურ-ბატონყმური წესები, რომლებსაც გერმანელი ფაშისტები ამყარებენ, ხელსაყრელია გერმანელი პლუტოკრატებისა და ბანკირებისათვის, და არა მუშებისა და გლეხებისათვის. ნამდვილად გერმანელი ფაშისტები რეაქციონერი მებატონეები არიან, გერმანელთა არმია კი მებატონეთა არმიაა, რომელიც სისხლსა ღვრის გერმანელი ბარონების გასამდიდრებლად და მემამულეთა ხელისუფლების აღსადგენად.

ამას გვეუბნება ომის გამოცდილება.

ამბობენ, გერმანელი ფაშისტები ევროპის კულტურის მატარებლები არიან, რომელნიც ომს ამ კულტურის სხვა ქვეყნებში გასავრცელებლად ეწევიანო. ეს, რა თქმა უნდა, სიცრუეა. მხოლოდ პროფესიონალ მატყუარებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ გერმანელი ფაშისტები, რომლებმაც სახრჩობელებით მოჰფინეს ევროპა, რომლებიც სძარცვავენ და აწიოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას, ცეცხლს უკიდებენ და აფეთქებენ ქალაქებსა და სოფლებს და ანგრევენ ევროპის ხალხთა კულტურულ საუნჯეებს,—შეიძლება ევროპული კულტურის მატარებლები იყვნენ. ნამდვილად გერმანელი ფაშისტები ევროპული კულტურის მტრები არიან, ხოლო გერმანელთა არმია შუასაუკუნეების ბნელეთის მოციქულთა არმიაა, რომელიც მოწოდებულია გაანადგუროს ევროპული კულტურა გერმანელი ბანკირებისა და ბარონების მონათმფლობელური „კულტურის“ დასანერგავად.

ამას გვეუბნება ომის გამოცდილება.

ასეთია ჩვენი მტრის სახე, რომელიც გამოააშკარავა და სინათლეზე გამოიტანა ომის გამოცდილებამ.

მაგრამ ომის გამოცდილება ამ დასკვნებით არ განისაზღვრება. გარდა ამისა, ომის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ომის პერიოდში სერიოზული ცვლილებები მოხდა როგორც ფაშისტური გერმანიისა და მისი არმიის მდგომარეობაში, ისე ჩვენი ქვეყნისა და წითელი არმიის მდგომარეობაში.

რა ცვლილებებია ეს?

უწინარეს ყოვლისა, უეჭველია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ფაშისტური გერმანია და მისი არმია უფრო სუსტი გახდნენ, ვიდრე ათი თვის წინათ იყო. ომმა დიდად გაუცრუა იმედები გერმანელ ხალხს, მოუტანა მილიონობით ადამიანთა მსხვერპლი, შიმშილი, გაღატაკება. ომს ბოლო არ უჩანს, ადამიანთა რეზერვები კი ილევა, ნავთი ილევა, ნედლეული ილევა. გერმანელ ხალხში უფრო და უფრო მატულობს იმის შეგნება, რომ გერმანიის დამარცხება გარდუვალია. გერმანელი ხალხისათვის უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია გერმანიის განთავისუფლება ჰიტლერ-გერინგის ავანტიურისტული ხროვისაგან.

ჰიტლერის იმპერიალიზმმა ევროპის ვრცელი ტერიტორიები დაიკავა, მაგრამ მან ვერ გასტეხა ევროპის ხალხთა ნებისყოფა წინააღმდეგობის გასაწევად. დამონებულ ხალხთა ბრძოლა გერმანელი ფაშისტი ყაჩაღების რეჟიმის წინააღმდეგ საყოველთაო ხასიათს იღებს. ყველა ოკუპირებულ ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა საბოტაჟი სამხედრო ქარხნებში, გერმანელთა საწყობების აფეთქება, გერმანელთა სამხედრო ეშელონების მარცხის მოწყობა, გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების დახოცვა. მთელ იუგოსლავიას და გერმანელების მიერ დაკავებულ საბჭოთა რაიონებს მოდებული აქვს პარტიზანული ომის ხანძარი.

ყველა ამ გარემოებამ გამოიწვია გერმანელთა ზურგის დასუსტება, და, მაშასადამე, მთლიანად ფაშისტური გერმანიის დასუსტებაც.

რაც შეეხება გერმანელთა არმიას, მიუხედავად მისი შეუპოვრობისა თავდაცვაში, იგი მაინც ბევრად უფრო სუსტი გახდა, ვიდრე ათი თვის წინათ იყო. მისი ძველი, გამოცდილი გენერლები, როგორიც იყვნენ რაიხენაუ, ბრაუხიჩი, ტოდტი და სხვები, ან დახოცა წითელმა არმიამ ან და გარეკილი არიან გერმანელი ფაშისტების ზედაფენების მიერ. მისი კადრის ოფიცერთა შემადგენლობა ნაწილობრივ წითელმა არმიამ გაჟლიტა, ნაწილობრივ კი გაიხრწნა სამოქალაქო მოსახლეობის ძარცვისა და მის მიმართ ძალადობის შედეგად. მის რიგითს შემადგენლობას, რომელიც სერიოზულად დასუსტდა საომარი ოპერაციების მსვლელობაში, სულ უფრო და უფრო ნაკლები შევსება მოსდის.

მეორე, უეჭველია, რომ ომის განვლილ პერიოდში ჩვენი ქვეყანა უფრო ძლიერი გახდა, ვიდრე ომის ლასაწყისში იყო. არა მარტო მეგობრები, არამედ მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ ახლა ჩვენი ქვეყანა უფრო მეტად არის გაერთიანებული და დარაზმული თავისი მთავრობის გარშემო, ვიდრე ოდესმე ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ზურგი და ფრონტი გაერთიანებულია ერთიან მებრძოლ ბანაკად, რომელიც ერთ მიზანს ურტყამს, რომ საბჭოთა ადამიანები ზურგში სულ უფრო მეტსა და მეტს შაშხანას და ტყვიამფრქვევს, ნაღმსატყორცნსა და ქვემეხს, ტანკებსა და თვითმფრინავებს, სურსათსა და საომარ მასალას აწვდიან ჩვენს ფრონტს.

რაც შეეხება ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობას, იგი ამ უკანასკნელ დროს ისე განმტკიცდა და გაიზარდა, როგორც არასოდეს. გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაერთიანდა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი. მათი თვალი საბჭოთა კავშირისაკენ არის მოპყრობილი. გმირული ბრძოლა, რასაც ჩვენი ქვეყნის ხალხები ეწევიან თავიანთი თავისუფლებისა, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის, მთელი პროგრესიული კაცობრიობის აღტაცებას იწვევს. ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნის ხალხები საბჭოთა კავშირს უყურებენ, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს იხსნას მსოფლიო ჰიტლერული შავი ჭირისაგან. ამ თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებს შორის პირველი ადგილი უჭირავთ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებთანაც ჩვენ გვაერთებს მეგობრობა და კავშირი და რომელნიც უფრო და უფრო მეტ სამხედრო დახმარებას უწევენ ჩვენს ქვეყანას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ყველა ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრად უფრო ძლიერი გახდა.

დასასრულ, უეჭველია, რომ განვლილი პერიოდის მანძილზე წითელი არმია უფრო ორგანიზებული და ძლიერი გახდა, ვიდრე ომის დაწყებისას იყო. შემთხვევით მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ დროებითი უკან დახევის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო გერმანელი იმპერიალისტების ვერაგული თავდასხმით, წითელმა არმიამ გარდატეხას მიაღწია ომის მიმდინარეობაში და აქტიური თავდაცვიდან მტრის ჯარების წინააღმდეგ წარმატებითს შეტევაზე გადავიდა. ეს ფაქტია, რომ წითელი არმიის წარმატებათა მეოხებით სამამულო ომი შევიდა ახალ პერიოდში,—ჰიტლერული სიბილწისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების პერიოდში. მართალია, ამ ისტორიული ამოცანის შესრულებას წითელი არმია სუსხიანი და დიდთოვლიანი ზამთრის ძნელ პირობებში შეუდგა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მან დიდ წარმატებებს მიაღწია. წითელმა არმიამ ხელთ იგდო საომარი მოქმედების ინიციატივა, არაერთი სასტიკი დამარცხება აგემა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს და აიძულა ისინი გაეწმინდათ საბჭოთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩაიფუშა დამპყრობთა ვარაუდი—გამოეყენებინათ ზამთარი შესასვენებლად და თავიანთ თავდაცვის ხაზზე დასამკვიდრებლად. შეტევის დროს წითელმა არმიამ უდიდესი რაოდენობით მოსპო მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა, ცოტა რაოდენობის ტექნიკა როდი წაართვა მტერს და აიძულა იგი ნაადრევად დაეხარჯნა ღრმა ზურგის რეზერვები, რაც გაზაფხულ-ზაფხულის ოპერაციებისათვის იყო განკუთვნილი.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ წითელი არმია უფრო ორგანიზებული და უფრო ძლიერი გახდა, მისი ოფიცერთა კადრები გამოიწრთო ბრძოლებში, ხოლო მისი გენერლები უფრო გამოცდილი და გამჭრიახი გახდნენ.

გარდატეხა მოხდა წითელი არმიის რიგითს შემადგენლობაშიც. გაჰქრა მტრის მიმართ გულმოწყალეობა და [illegible]ოდევრობა, რასაც ადგილი ჰქონდა მებრძოლთა შორის სამამულო ომის პირველ თვეებში. მხეცობამ, ძარცვამ და ძალადობამ, რასაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები მშვიდობიანი მოსახლეობისა და საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ სჩადიან, განკურნეს ჩვენი მებრძოლნი ამ სენისაგან. მებრძოლები უფრო სასტიკნი და ულმობელნი გახდნენ. მათ ისწავლეს ნამდვილი სიძულვილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისადმი. მათ შეიგნეს, რომ მტერზე გამარჯვება ისე არ შეიძლება, თუ არ ჩაინერგე მისდამი სიძულვილი მთელი არსებით.

გათავდა ის ლაყბობა გერმანელთა ჯარების უძლეველობის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ომის დასაწყისში და რაშიაც იმალებოდა შიში გერმანელების წინაშე. როსტოვთან და ქერჩთან, მოსკოვთან და კალინინთან, ტიხვინთან და ლენინგრადთან შესანიშნავმა ბრძოლებმა, როდესაც წითელმა არმიამ გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი გააქცია, დაარწმუნა ჩვენი მებრძოლნი, რომ ლაყბობა გერმანელთა ჯარების უძლეველობის შესახებ ფაშისტი პროპაგანდისტების მიერ შეთხზულ ზღაპარს წარმოადგენს. ომის გამოცდილებამ დაარწმუნა ჩვენი მებრძოლი, რომ გერმანელი ოფიცრის ეგრეთწოდებული სიმამაცე ერთობ შედარებითი რამ არის, რომ გერმანელი ოფიცერი სიმამაცეს მაშინ იჩენს, როცა საქმე აქვს უიარაღო სამხედრო ტყვეებთან და მშვიდობიან სამოქალაქო მოსახლეობასთან, მაგრამ იგი სიმამაცეს ჰკარგავს, როდესაც მის წინაშე წითელი არმიის ორგანიზებული ძალაა. გაიხსენეთ ხალხური ანდაზა: „ცხვრების წინააღმდეგ ყოჩაღია, მაგრამ ყოჩაღის წინააღმდეგ თვითონ ცხვარიაო“.

ასეთია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის გამოცდილებიდან მიღებული დასკვნები.

რას გვეუბნება ეს დასკვნები?

ეს დასკვნები იმას გვეუბნება, რომ ჩვენ შეგვიძლია ვანადგუროთ და მომავალშიც უნდა ვანადგუროთ გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი მანამდე, სანამ სრულიად არ გავჟლეტთ მათ, სანამ სავსებით არ გავათავისუფლებთ საბჭოთა მიწა-წყალს ჰიტლერელი არამზადებისაგან.

ამხანაგებო! ჩვენ სამამულო, განმათავისუფლებელ, სამართლიან ომს ვაწარმოებთ. ჩვენ ისეთი მიზნები როდი გვაქვს, რომ სხვისი ქვეყნები ჩავიგდოთ ხელში, სხვა ხალხები დავიპყროთ. ჩვენი მიზანი ნათელი და კეთილშობილია. ჩვენ გვსურს გავათავისუფლოთ ჩვენი საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი ფაშისტი არამზადებისაგან. ჩვენ გვსურს ვიხსნათ ჩვენი ძმები—უკრაინელები, მოლდაველები, ბელორუსები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, კარელები იმ სირცხვილისა და დამცირებისაგან, რასაც მათ აყენებენ გერმანელი ფაშისტი არამზადები. ამ მიზნის განსახორციელებლად ჩვენ უნდა დავამარცხოთ გერმანელ ფაშისტთა არმია და გავჟლიტოთ გერმანელი ოკუპანტები უკანასკნელ კაცამდე, რამდენადაც ისინი ტყვედ არ დაგვნებდებიან. სხვა გზა არ არსებობს. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ეს და კიდევაც უნდა გავაკეთოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს.

წითელ არმიას ყველაფერი მოეპოვება რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ განახორციელოს ეს დიადი მიზანი. მას მხოლოდ ერთი რამ აკლია — იმის უნარი, რომ მთლიანად გამოიყენოს მტრის წინააღმდეგ ის პირველხარისხოვანი ტექნიკა, რომელსაც მას ჩვენი სამშობლო აძლევს. ამიტომ წითელი არმიის, მის მებრძოლთა, მის მეტყვიამფრქვევეთა, მის არტილერისტთა, მის ნაღმმტყორცნელთა, მის ტანკისტთა, მის მფრინავთა და კავალერისტთა ამოცანა ის არის, რომ ისწავლონ სამხედრო საქმე, ისწავლონ ბეჯითად, ზედმიწევნით შეისწავლონ თავიანთი იარაღი, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები და ამრიგად ისწავლონ მტრის უეჭველი განადგურება. მხოლოდ ასე შეიძლება ვისწავლოთ მტერზე გამარჯვების ხელოვნება.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო—კაცებო და ქალებო!

მოგესალმებით და გილოცავთ რა 1 მაისის დღეს, ვბრძანებ:

1. რიგითმა მებრძოლებმა ზედმიწევნით შეისწავლონ შაშხანა, გახდნენ თავიანთი იარაღის ოსტატები, დაუცდენლად ურტყან მტერს ისე, როგორც ურტყამენ მათ ჩვენი სახელოვანი სნაიპერები, გერმანელ ოკუპანტთა გამანადგურებელნი!

2. მეტყვიამფრქვევეებმა, არტილერისტებმა, ნაღმმტყორცნელებმა, ტანკისტებმა, მფრინავებმა—ზედმიწევნით შეისწავლონ თავიანთი იარაღი, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები, ულმობლად ჟლიტონ გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი მათს სრულ განადგურებამდე!

3. ჯარების საერთო მეთაურებმა ზედმიწევნით შეისწავლონ ჯარების გვარეობათა თანამოქმედების საქმე, გახდნენ ჯარების გაძღოლის საქმის ოსტატნი, მთელ მსოფლიოს დაანახვონ, რომ წითელ არმიას უნარი შესწევს შეასრულოს თავისი დიადი განმათავისუფლებელი მისია!

4. მთელმა წითელმა არმიამ მიაღწიოს იმას, რომ 1942 წელი გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებისა და ჰიტლერელი არამზადებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების წელი გახდეს!

5. პარტიზანებმა—კაცებმა და ქალებმა—გააძლიერონ პარტიზანული ომი გერმანელ დამპყრობთა ზურგში, ანგრიონ მტრის კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის საშუალებანი, ანადგურონ მტრის შტაბები და ტექნიკა, არ დაზოგონ ვაზნები, ჩვენი სამშობლოს მჩაგვრელთა მოსასპობად!

დიდი ლენინის უძლეველი დროშით წინ, გამარჯვებისაკენ!

თავდაცვის სახალხო კომისარი ი. სტალინი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრისა

1942 წლის 1 მაისი № 77 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო!

მუშათა კლასის საბრძოლო ძალთა დათვალიერების დღეს — 1 მაისს ჩვენი ქვეყანა ეგებება პირსისხლიანი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი ვასალების წინააღმდეგ წარმოებული დიდი სამამულო ომის პირობებში.

10 თვეზე მეტია გრძელდება საბჭოთა ხალხის წმინდათა-წმინდა ომი თავითფეხამდე შეიარაღებული ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც ვერაგულად და უსინიდისოდ დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილია სიფხიზლისა და საბრძოლო მზადყოფნის სულისკვეთებით, მისმა წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მთელ მსოფლიოს უჩვენეს თავისი საბრძოლო ძლიერება, გააქარწყლეს მითი გერმანელ ფაშისტთა არმიის „უძლეველობის“ შესახებ და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მას.

ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით, მოსკოვის მისადგომებზე გადახდილ ისტორიულ ბრძოლებში განხორციელებულ იქნა უდიდესი გარდატეხა სამამულო ომის ფრონტზე. ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, კონტრშეტევაზე გადავიდნენ ფრონტის გადამწყვეტ უბნებში და დასავლეთისაკენ ერეკებიან ფაშისტ დამპყრობთ.

სამამულო ომის უზარმაზარი ფრონტის ფლანგებზე, ბარენცის ზღვასა და შავ ზღვაში, ლენინგრადთან და სევასტოპოლთან, წითელი არმიის ნაწილებთან ხელიხელჩაკიდებულმა საბჭოთა მეზღვაურებმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მტერს და განაგრძობენ მის განადგურებას, სპობენ მის ტექნიკას და ცოცხალ ძალას. ფაშისტთა არაერთი ასეული ტრანსპორტი და გემი ჩასძირეს ჩვენი ფლოტის მამაცმა წითელფლოტელებმა, გაბედულმა წყალქვეშელებმა, გულადმა მფრინავებმა.

საბჭოთა მეზღვაურებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ღირსნი არიან დიადი განმათავისუფლებელი მისიისა.

მეზღვაურთა საგმირო საქმეები ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სივრცეებში, ბალტიკასა და შავ ზღვაში სამუდამოდ დარჩება ხალხის ხსოვნაში. მეზღვაურები სასტიკი ბრძოლების ცეცხლში აუმჯობესებენ თავიანთ საბრძოლო ჩვევებს და ბრძოლის უნარს. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში დაიბადნენ, გამოიზარდნენ და გამოიბრძმედნენ გემების გვარდიის ეკიპაჟები, გვარდიის საავიაციო პოლკები და საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილები.

1 მაისს მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები აღტაცებითა და იმედით მოაპყრობენ თავიანთ თვალს წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, გმირ საბჭოთა ხალხს, რომელიც სათავეში უდგას ფაშისტური ბარბაროსობისა და ყაჩაღობის წინააღმდეგ წარმოებულ განმათავისუფლებელ ომს.

ამხანაგო წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო!

გადამწყვეტი ბრძოლები მოგველის მოსისხლე მტერთან. რაც უნდა გაafთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდეს მტერი, რაც უნდა გაჰყვიროდნენ თავიანთი ძლიერების შესახებ თავითბოლომდე გაცრუპენტელებული ფაშისტი მესვეურები, — გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

ჩვენი ძალები და რეზერვები იზრდება, ფაშისტური გერმანიის ძალები და მისი რეზერვები ილევა, საბჭოთა ზურგი დღითიდღე მტკიცდება და აწვდის წითელ არმიას და წითელ ფლოტს ყოველივეს, რაც მას ესაჭიროება, გერმანიაში კი შინაგანი რესურსების გამოფიტვის პროცესი მიმდინარეობს. მიწა იწვის ფაშისტ დამპყრობელთა ფეხქვეშ მათ მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში და ჰიტლერელ მმართველთა ფეხქვეშ თვით გერმანიაში. მტკიცდება საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხების შეიარაღებულ ძალთა საბრძოლო კავშირი. ევროპის თავისუფლებისმოყვარე ხალხები ფაშისტთა უღლისაგან თავიანთი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად იარაზმებიან.

წარსულ ზამთარში წითელმა არმიამ გამანადგურებელი დარტყმებით დაანჯღრია გერმანელთა საომარი მანქანა და მოამზადა პირობები წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემდგომი შეტევითი ოპერაციებისათვის, გაზაფხულისა და ზაფხულის ძლევამოსილი ბრძოლებისათვის.

ჩვენი ამოცანაა გაზაფხულზე და ზაფხულში კიდევ უფრო მაგრად ვურტყათ გერმანელ ფაშისტ ყაჩაღებს, ვიდრე ზამთარში. დაუნდობლად ჩავძიროთ გერმანელთა გემები და ტრანსპორტები კომუნიკაციებზე, გემებისა და სანაპირო არტილერიის ზუსტი და ძლიერი ცეცხლით მოვსპოთ მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა. 1942 წელი მტრის სრული განადგურების წელი უნდა იყოს.

მაგრამ გამარჯვება თავისთავად როდი მოდის, იგი უნდა მოვიპოვოთ. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოველი წითელფლოტელის, მეთაურისა და პოლიტმუშაკის ვალია გვარდიელისებურად, ულმობლად ურტყას მტერს.

არავითარი თვითდამშვიდება და ყოყოჩობა! „მტერი დამარცხებას განიცდის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის განადგურებული და — მით უფრო — მთლად მოსპობილი. მტერი ჯერ კიდევ ძლიერია. იგი უკანასკნელ ძალებს დაძაბავს, რათა წარმატებას მიაღწიოს. და რაც უფრო მეტ დამარცხებას განიცდის იგი, მით უფრო გამხეცდება“. (სტალინი).

მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰიტლერელი ჯალათების მიერ წამებული და ტანჯული საბჭოთა მოქალაქეები, ქალები და ბავშვები ელიან თავიანთ განმათავისუფლებელთ — წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

არც ერთი წუთით არ შეუშვათ ხელი ბრძოლის ინიციატივას! გააძლიერეთ სიფხიზლე!

წინ მტრის სრული განადგურებისათვის ხმელეთზე, ზღვაში და ჰაერში!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

ამხანაგო წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, გილოცავთ მუშათა კლასის დიად დღესასწაულს — 1 მაისს.

გაუმარჯოს 1 მაისს — მუშათა კლასის საბრძოლო ძალთა დათვალიერების დღეს! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და თავისუფლებისმოყვარე სხვა ხალხთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო კავშირს, რომელნიც სამართლიან განმათავისუფლებელ ომს ეწევიან გერმანია-იტალიის ყაჩაღური იმპერიალიზმის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს სახალხო შურისმგებელთ — საბჭოთა პარტიზანებს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბელადს და მათ გამარჯვებათა ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს მებრძოლ ბელადს ამხანაგ სტალინს!

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი
ადმირალი ნ. კუზნეცოვი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 აპრილის დილის ცნობა

29 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

* * *

მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ერთმა ბატალიონმა ტანკების დახმარებით სამჯერ სცადა იერიში მოეტანა დასავლეთის ფრონტზე მოქმედი ჩვენი მსროლელი ნაწილის პოზიციებზე. არტილერიისა და ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით მტრის ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. ბრძოლის ველზე დარჩა 300-ზე მეტი მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და მტრის ერთი დაზიანებული ტანკი. ჩვენმა მებრძოლებმა თოფით ჩამოაგდეს მტრის ერთი თვითმფრინავი.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა მტრის თავდაცვითი პუნქტი დაიკავა და ხელთ იგდო გერმანელთა 6 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი, დიდძალი ავტომატი და შაშხანა. ჰიტლერელებმა 150-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით.

* * *

27 აპრილს სნაიპერმა ამხ. ფრუნდინმა 7 ჰიტლერელი მოჰკლა და 2 დასჭრა. სულ ომის განმავლობაში მან მოწინააღმდეგის 101 ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა.

* * *

სერჟანტმა კომპანეეცმა ტყვიამფრქვევის მარჯვე ჯერით ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი, რომელიც თავისი არტილერიის ცეცხლს აწესრიგებდა.

* * *

ლენინგრადელ პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა მატარებელი სამხედრო საჭურვლიანად. მეორე დღეს პარტიზანებმა მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონის მარცხი მოაწყეს. დაიმტვრა 58 ვაგონი. დაიღუპა დიდძალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

უნგრელთა 118-ე ბრიგადის 47-ე ქვეითი პოლკის მე-9 ასეულის ტყვე ჯარისკაცმა ანტალ მოლნარმა განაცხადა: „ჩვენი ასეულის ჯარისკაცი ლაიოშ მარკა ამას წინათ სამშობლოში იყო. იგი ამბობს, რომ გერმანელები უნგრეთს აოხრებენ, გააქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ხე-ტყე, ნედლეული. ხალხი უკვე ხვდება, რომ ჰიტლერს სურს გაჟლიტოს უნგრელი ახალგაზრდობა, სისხლით დასცალოს და დააუძლუროს უნგრეთი, ხოლო შემდეგ მოსპოს იგი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ყველგან ამბობენ, გერმანელებს ჩვენი შეჭმა სურთ. ომამდე ჩვენ ვშრომობდით, ვზრუნავდით ჩვენი ოჯახებისათვის, ახლა კი ჰიტლერმა და მისმა უნგრელმა ლაქიებმა ბანდიტებად გადაგვაქციეს, ძარცვას და კაცისკვლას გვასწავლიან".

* * *

მოწინააღმდეგისათვის წართმეულ საველე ფოსტაში აღმოჩენილია გერმანელ მაიორ ლეოპოლდ პარაკის მიერ მშობლებისაგან მიღებული წერილი. ამ წერილში, რომელიც ბუდეიოვიცედან (ჩეხოსლოვაკია) არის გამოგზავნილი, ნათქვამია: „აქ საალყო წესები გამოცხადდა. მრავალი ჩეხი დახვრიტეს. ამას წინათ უცნობმა პირებმა ცეცხლი წაუკიდეს ფაბრიკას".

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები მათ მიერ ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მოსახლეობას ჟლეტენ. მარტში ჰიტლერელებმა ორიოლის ოლქის სოფელ ჟურინიჩისა და ბეჟიჩის ყველა მცხოვრებნი დახვრიტეს. სოფელ ჟუკოვკაში გერმანელებმა 80 საბჭოთა მოქალაქე აწამეს და მოჰკლეს. სუმის ოლქის გლუხოვის რაიონის ბევრ სოფელში ყველა სახლი გადაწვეს. გერმანელების მიერ დაკავებული რაიონებიდან გაქცეული საბჭოთა მოქალაქეები გვიამბობენ, რომ ჯალათი გერმანელები ძალით ურეკავენ თავს ერთად ქალებს და მათ თვალწინ აწამებენ და სტანჯავენ პატარა ბავშვებს.

* * *

იტალიის სხვადასხვა ქალაქებში უფრო და უფრო ხშირად ხდება შეტაკება იტალიელ და გერმანელ ჯარისკაცთა შორის. 21 აპრილს ქალაქ გენუაში იტალიელმა ჯარისკაცებმა სცემეს გერმანელ მფრინავებს, რომელნიც ქუჩაში მოსვენებას არ აძლევდნენ გამვლელ ქალებს. მეორე დღეს ნავსადგურში ცემა-ტყეპა გაიმართა იტალიელ მატროსებსა და გერმანელ ჯარისკაცებს შორის. დაატრიალეს დანები. მოკლულია 5 გერმანელი, მძიმედ დაჭრილია 11.

30 აპრილის საღამოს ცნობა

30 აპრილის განმავლობაში ფრონტზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

29 აპრილს მოსპობილია გერმანელთა 31 თვითმფრინავი. ჩვენ 11 თვითმფრინავი დავკარგეთ.

ჩვენმა გემმა ბარენცის ზღვაში მოწინააღმდეგის 10.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი ჩაძირა.

* * *

29 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 6 ტანკი, 70-ზე მეტი ავტომანქანა ჯარიანად და ტვირთიანად, 25 საზიდარი საომარი მასალა, 8 საველე და საზენიტო ქვემეხი, ააფეთქეს 4 საწყობი საომარ მასალიანად, გაანადგურეს მატარებელი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მოწინააღმდეგის 7 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

გვარდიის სატანკო ბრიგადა, რომელიც კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, წარმატებით ანადგურებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ. სამამულო ომის განმავლობაში ბრიგადამ მოსპო მტრის 168 ტანკი, 29 თვითმფრინავი, 500 ავტომანქანა, დიდძალი ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნები, ქვემეხები, ჯავშნიანი მანქანები და მტრის 13.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ბრიგადის ტანკების ჯგუფი, სარდლობის ბრძანების შესასრულებლად, ამას წინათ მოწინააღმდეგის ზურგში შეიჭრა და 1.000-მდე ჰიტლერელი გაჟლიტა.

* * *

ჩვენი ტანკისტები — ლეიტენანტი სოლდატოვი, წამყვანი ბატრაკი, კოშკურის მეთაური პრიკოლოტინი და მეტყვიამფრქვევე სადჩენკო გერმანელთა ჯარების განლაგებაში შეიჭრნენ და მოსპეს მტრის ტანკი, ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის ქვემეხი, ნაღმსატყორცნი ბატარეა და მისი გუნდი, რამდენიმე ბლინდაჟი და ამ ბლინდაჟებში მყოფი ქვეითი ჯარი. ამავე უბანზე საველე არტილერიამ გერმანელთა საომარი მასალის ალალი გაანადგურა და სოფელ ზ-სთან დაშვებული მტრის ორმოტორიანი თვითმფრინავი დაწვა.

* * *

გერმანელები ტანკების საფრით ცდილობდნენ იერიში მოეტანათ ერთ ჩვენ ნაწილზე. უფროს სერჟანტ ამხ. ტიხონოვის ქვემეხის გუნდმა გაშლილ პოზიციაზე გაგორა ქვემეხი, ახლოს მოუშვა გერმანელთა 3 ტანკი და მარჯვე ცეცხლით მოსპო ისინი. არტილერისტებმა ცეცხლი დაატეხეს თავს მტრის ქვეითს ჯარს და დიდძალი ჰიტლერელი გაჟლიტეს.

* * *

წითელარმიელ ამხ. კრუპჩენკოსა და კოვალიოვის სნაიპერთა ჯგუფებმა 240 ჰიტლერელი გასწყვიტეს.

* * *

წითელარმიელი ამხ. იუხნევიჩი ოსტატურად შეინიღბა, მტრის სანგართან მიხოხდა და მარჯვე სროლით მოჰკლა 7 გერმანელი. იუხნევიჩმა ხელთ იგდო დაზგის ტყვიამფრქვევი და ჩანთა მნიშვნელოვან დოკუმენტებიანად და თავის ნაწილში დაბრუნდა.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება ნაწყვეტი ესპანეთის „ცისფერი დივიზიის" 269-ე პოლკის ოცეულის მოკლულ მეთაურ ხერკე მერკოდალის დღიურიდან:

„...საღამოს, როცა ყველა ოფიცერი საფარში შეიკრიბა მაიორთან, მივიღეთ პოლკოვნიკ ესპარსის ბრძანება უკანდახევის შესახებ. 9 საათზე მთელ ქონებას ვტოვებთ, მხოლოდ ქვემეხების საკეტები მიგვაქვს და სასწრაფოდ ვიხევთ უკან. გამოჩნდა მოწინააღმდეგის ავიაცია, რომელიც თავზარს სცემს ჩვენს ჯარს. მძიმე სანახავი არიან მცირერიცხოვანი გადარჩენილი ჯარისკაცები, რომლებსაც არაქათი აქვთ გამოლეული. ისინი შიშველი არიან და შიმშილითა და სიცივით იხოცებიან. მე ვმეთაურობ პირველი და მესამე ოცეულების ნაშთებს, სადაც ირიცხება რამდენიმე ათეული ჩვარი ადამიანი, რომლებსაც არც მორალური საფუძვლები გააჩნიათ და არც საომარი მასალა...

ჩვენი დივიზიის საბრძოლო სულისკვეთება მთლიანად გერმანელთა წინააღმდეგ არის მიმართული. ჩვენი უფროსები ერთობ ბევრს ზრუნავენ საკუთარი თავისა და საკუთარი კეთილდღეობისათვის. ჩვენ საშინლად ჭუჭყიანი ვართ. მე დახეული ჩექმები მაცვია. ტილები მასევია.

დღეს ესპანეთის დივიზია ქაოსს წარმოადგენს, პოლკები დამარცხებულია, არ არის საბრძოლო სულისკვეთება, არ გაგვაჩნია საომარი მასალა, არ არსებობს ნდობა მეთაურებისადმი... „ცისფერი დივიზია" აქ იმისათვის ჩამოვიდა, რომ სახელი მოეხვეჭა ესპანეთისათვის, მაგრამ პირიქით გამოვიდა. ჩვენმა ჯარისკაცებმა და უნიჭო უფროსებმა სამქვეყნოდ შეარცხვინეს ესპანეთი. მე მრცხვენია... ესპანეთი თავის არსებობას იმით დაამთავრებს, რომ გერმანიის კოლონიად გახდება".

* * *

ამ უკანასკნელ ხანს რუმინეთში დააპატიმრეს მრავალი ცნობილი სახელმწიფო მოსამსახურე და არმიის ოფიცერი, რომლებსაც ნათესაური კავშირი აქვთ უნგრელებთან. როგორც გამოირკვა, უნგრეთის დაზვერვას ფართოდ გამოუყენებია ეს კავშირი იმისათვის, რომ ჯაშუშები და დივერსანტები მოეგროვებინა. რუმინეთის ხელისუფალნი ფიქრობენ, რომ რუმინეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე რკინიგზებზე მომხდარი მრავალი ავარია უნგრეთის აგენტების ნამოქმედარია. რუმინეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ჯაშუშობასთან საბრძოლველად გამოსცა ბრძანება № 45.924, რომლითაც აკრძალულია „უნგრეთში გასვლის ვიზა მიეცეს სამხედრო მოსამსახურეთა და მოხელეთა ცოლებს ომის მთელი ხნის განმავლობაში".

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ტაჯიკეთისა და ბაშკირეთის მშრომელთა დელეგაციები ჩამოვიდნენ. დელეგატებმა საპირველმაისო საჩუქრები ჩამოუტანეს წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს. ბაშკირეთის მშრომელებმა სამშობლოს დამცველებს გამოუგზავნეს 66 ვაგონი სხვადასხვა პროდუქტები: ხორცი, კარაქი, ძეხვეული, კვერცხი, თევზი, ღვინო, შაშხი, ნამცხვარი, კანფეტი, აგრეთვე 60.000 ინდივიდუალური ამანათი. ტაჯიკეთის დელეგატებმა ჩამოიტანეს 17 ვაგონი საჩუქარი: მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების მიერ გამოგზავნილი ბაჰირისი, ხორცი, კვერცხი, ხილი, კაკალი, ღვინო და კანფეტი.

ჯავშნიანი მატარებლის სახელოვანი მებრძოლნი

ჯავშნიანი მატარებლის მეთაური მაიორი ა. დ. ჯახიევი

ალექსი დავითის-ძე ჯახიევი დაიბადა გორში 1908 წელს. 1929 წელს მან დაამთავრა თბილისში საშუალო სასწავლებელი. წითელი არმიის ჯავშნოსან ნაწილებში სამსახურის დროს იგი ფრიადზე დაეუფლა საარტილერიო საქმეს.

1939 წლიდან ამხ. ჯახიევი სწავლობდა ფრუნზეს სახელობის აკადემიის ფილიალში.

ამხ. ჯახიევი თავის მებრძოლებს შორის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს იმ მზრუნველობისათვის, რომელსაც იგი იჩენს მათდამი.

ამხ. ჯახიევი თავისი ჯავშნიანი მატარებლით მოსკოვის დაცვისა და მოსკოვის ოლქიდან განადგურებული ჰიტლერელთა არმიის ნაშთების განდევნის ერთ-ერთი სახელოვანი მონაწილეა.

უფროსი პოლიტხელი ვ. პ. პოლიუსუკი

ვლადიმერ პეტრეს-ძე პოლიუსუკი — ჯავშნიანი მატარებლის სამხედრო კომისარი — დაიბადა ბაქოში 1910 წელს. 1918 წელს მამა-მისი ოჯახით გადასახლდა ორჯონიკიძეში (ყოფ. ვლადიკავკაზში), ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩამოვიდა თბილისში.

1925 წელს ამხ. პოლიუსუკმა დაამთავრა თბილისში საშუალო სასწავლებელი. 1929 წლიდან მუშაობდა 26 კომისრის სახელობის ქარხანაში, ამავე დროს სწავლობდა საინჟინრო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1934 წელს.

ჯავშნიანი მატარებლის მეთაურ ამხ. ჯახიევთან ერთად ამხ. პოლიუსუკმა აღზარდა მამაცი მებრძოლები, შეჰქმნა მათგან მტკიცე ნებისყოფით აღსავსე მებრძოლთა კოლექტივი, რომელმაც გაათავხედებულ ჰიტლერელებს მრავალჯერ დაატეხა თავს რისხვა.

ლეიტენანტი ი. გ. ბალდოევი

იური გიორგის-ძე ბალდოევი დაიბადა ვარშავაში 1914 წელს. ბავშვობა გაატარა თბილისში. 1932 წელს ამხ. ბალდოევმა დაამთავრა გეოლოგიური ტექნიკუმი, შემდეგ მუშაობდა გეოლოგად. 1937 წლიდან მსახურობს წითელ არმიაში.

ჯავშნიან მატარებელზე ამხ. ბალდოევი დაზვერვის მეთაურია. არაერთხელ აღმოუჩენია მას ფაშისტების მიერ რკინიგზის დანაღმული უბნები და ამით გადაურჩენია ჯავშნიანი მატარებლის მატერიალური ნაწილი და პირადი შემადგენლობის სიცოცხლე. დაზვერვის დროს იგი ხშირად შეიჭრება ხოლმე ღრმად მტრის ზურგში და მოაქვს მნიშვნელოვანი ცნობები.

დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა ამხ. ბალდოევმა მოსკოვის გმირული დაცვის დროს. ერთხელ, როდესაც ფაშისტებმა ააფეთქეს რკინიგზა და მოსწყვიტეს იგი ჯავშნიან მატარებელს, ამხ. ბალდოევმა თავისი დრეზინი გადაიყვანა მიწაზე და უზრუნველჰყო სასწრაფო ბრძანების ადგილზე მიტანა.

სამხედრო ფერშალი გ. ძ. დოლიძე

გრიგოლ ძალუნის-ძე დოლიძე დაიბადა სოფ. განახლებაში (ჩოხატაურის რ.) 1914 წელს. არასრული საშუალო სკოლა დაამთავრა თბილისში. შემდეგ, 1936 წელს, ბათუმში დაამთავრა სამედიცინო ტექნიკუმი. სამამულო ომამდე მუშაობდა რკინიგზაზე სანიტარული ინსპექტორის თანაშემწედ.

ამხ. დოლიძე მარტო ფერშალი როდია. იგი საუკეთესო მებრძოლიცაა. იგი ხშირად ასრულებს სარდლობის პასუხსაგებ დავალებებს: მიდის ჯავშნიანი მატარებლის წინ, სინჯავს გზას, მტრის ცეცხლქვეშ გადაჰყავს ისარი და სხვ. მოსკოვის დაცვის დროს იგი ხშირად კისრულობდა ხოლმე ისრების მდგომარეობის შემოწმებას და ამას ბრწყინვალედ ასრულებდა. თავისი თავგანწირვითა და ვაჟკაცობით მან სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა ამხანაგებში.

სერჟანტი გ. პ. მაიაჩკო

გრიგოლ პავლეს-ძე მაიაჩკო სტალინის ოლქიდანაა. იგი მეთაურობს ჯავშნიანი მატარებლის ერთ-ერთ ქვემეხს. თავისი ქვემეხით მან ერთ ბრძოლაში გაანადგურა მტრის ტანკი, მოსპო ორი მოტოციკლი. ჯავშნიან მატარებელზე მტრის ავიაციის ერთი თავდასხმის დროს ამხ. მაიაჩკომ გრიგალისებური ცეცხლი გააჩაღა თავისი ქვემეხიდან და ამით ხელი შეუწყო ფაშისტური სვავების უკუგდებას.

მოსკოვის დაცვის დროს მან გაანადგურა ჯავშნიანი მატარებლის ზურგში შემოჭრილი მტრის ტანკი. ამ ბრძოლაში ამხ. მაიაჩკო დაიჭრა, მაგრამ ბრძოლიდან არ გამოვიდა. თვითონ შეიხვია ჭრილობა, ქვემეხთან დარჩა და განაგრძო ბრძოლა.

უფროსი სერჟანტი ვ. ვ. რეუცკი

ვასილ ვასილის-ძე რეუცკი სტალინის ოლქიდანაა. 1939 წლიდან 1941 წლამდე წითელ არმიაში იყო თბილისში.

მოსკოვის დაცვის დროს ერთ-ერთ ბრძოლაში, როდესაც მტრის ყუმბარებმა დაცხრილეს ჯავშნიანი მატარებლის კოშკურა, ამხ. რეუცკიმ დაიკავა მემიზნის ადგილი და მოსპო მტრის ტანკი, რომელიც მოჰქროდა ჯავშნიანი მატარებლის გზის გადასაჭრელად. ამით ამხ. რეუცკიმ იხსნა ჯავშნიანი მატარებელი მტრის ტანკების გარშემორტყმისაგან. მაგრამ ამით ბრძოლა არ გათავებულა. ახლა მტრის ოთხი ტანკი გამოუდგა ჯავშნიან მატარებელს და შეეცადა გზის გადაჭრას. ამ ტანკებზე მოავტომატენი იყვნენ, რომლებიც აგრეთვე უშენდნენ ტყვიას ჯავშნიან მატარებელს. სწორი დამიზნებით ამხ. რეუცკიმ ეს ტანკები უკუაქცია.

პოლიტხელის მოადგილე მ. ი. კრივოშეევი

მიხეილ ილიას-ძე კრივოშეევი დაიბადა კურსკში 1905 წელს. 1916 წლიდან მუშაობდა დონეცის ბასეინის შახტებში. 1932 წელს დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკული ტექნიკუმი. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე თავის ორ ძმასთან ერთად მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში.

მოსკოვთან ბრძოლებში განსაკუთრებული სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინა. ერთ-ერთ ბრძოლაში მან ზუსტი სროლით დააზიანა მტრის ოთხი ტანკი. მტერი მოგერიებულ იქნა. ამით ჯავშნიან მატარებელს საშუალება მიეცა სადგურიდან გაეყვანა საბრძოლო საჭურველით დატვირთული მატარებლის მთელი შემადგენლობა.

ამ ბრძოლაში ამხ. კრივოშეევი დაიჭრა ფეხსა და ხელში, მაგრამ ბოლომდე განაგრძობდა ბრძოლას.

სერჟანტი გ. ხ. კოკოშვილი

გიორგი ხარიტონის-ძე კოკოშვილი დაიბადა თბილისში 1921 წელს. ამხ. კოკოშვილი ქვემეხის მეთაურია.

ჯავშნიან მატარებელზე მტრის ავიაციის ერთ-ერთი თავდასხმის დროს ამხ. კოკოშვილი, მიუხედავად მტრის განუწყვეტელი ცეცხლისა, ახერხებდა თვალყური ედევნებინა ფაშისტ სვავების მანევრებისათვის და ზუსტი სროლით იგერიებდა მათ.

მოსკოვის დაცვის დროს ერთ-ერთ ფიცხელ ბრძოლაში ამხ. კოკოშვილი დაიჭრა. იგი დაეცა ქვემეხთან, მაგრამ თავისი პოსტი არ დასტოვა: დაჭრილი აწვდიდა ამხანაგებს ყუმბარებს და ამხნევებდა მათ.

ა. დ. ჯახიევი

ვ. პ. პოლიუსუკი

ი. გ. ბალდოევი

გ. ძ. დოლიძე

ვ. ვ. რეუცკი

გ. ხ. კოკოშვილი

ორგზის ორდენოსანი მფრინავი კაპიტანი მ. ა. აბზიანიძე

(„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

მრავალ მამაც მფრინავთა შორის მაიორ ა. მ. მაკაროვის ნაწილში დიდად სახელმოხვეჭილია ორ ფრონტზე ბრძოლაგამოვლილი, ორგზის ორდენოსანი მფრინავი კაპიტანი — ბოლშევიკი მიხეილ ამბაკოს-ძე აბზიანიძე, რომლის ნამსახურობითი სია აღსავსეა მტრებთან ბრძოლის ბრწყინვალე ეპიზოდებით.

აი მისი ბრძოლების ერთი ეპიზოდი:

ბომბდამშენთა ჯგუფს მიეცა სერიოზული საბრძოლო ამოცანა — შეჭრილიყო მტრის ზურგში და გაენადგურებინა იქ მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტი. მრისხანე საბჭოთა საჰაერო ხომალდები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით გაემართნენ ამოცანის შესასრულებლად. მათ თავისი ავიაგამანადგურებლით გაჰყვა კაპიტანი აბზიანიძე. საბჭოთა შევარდნები ღრმად იყვნენ შეჭრილნი მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როდესაც 3.500 მეტრის სიმაღლეზე ცალკე მიმავალმა აბზიანიძემ შეამჩნია, რომ მტრის 5 ბომბდამშენი „იუნკერს—88" შვიდი ავიაგამანადგურებელ „მესერშმიტ—109"-ის თანხლებით მის წინაღმდეგ მოდიოდა. ერთი საბჭოთა შევარდენი 12 ფაშისტური სვავის წინაშე აღმოჩნდა.

ერთი თორმეტის წინააღმდეგ!

ძალთა ამ უაღრესად უთანასწორო თანაფარდობამ ვერ შეაკრთო მამაცი საბჭოთა მფრინავი. უშიშარმა და მამაცმა საჰაერო მებრძოლმა გაბედულად წაიყვანა თავისი მანქანა მტრის შესახვედრად. ფაშისტმა ბანდიტებმა შეუტიეს აბზიანიძის თვითმფრინავს, მაგრამ ამხ. აბზიანიძე ჭიქურ გაექანა ფაშისტთა ავიაგამანადგურებლების შვიდეულისაკენ და 500-600 მეტრზე მიახლოვებისას დააჭირა ხელი გაშვებს, გაუშვა ტყვიამფრქვევის ხანგრძლივი ჯერი და ამასთან მოწინავე მანქანას ზარბაზნის ყუმბარა მიახალა.

სეტყვასავით წასული ტყვიები და ყუმბარების ნამსხვრევები პირდაპირ მიზანს მოხვდა, წინა მანქანას ყუმბარების ზუსტი მოხვედრისაგან მარცხენა ფრთა მოემსხვრა, იგი ჰაერშივე გადატრიალდა და ქვასავით დაენარცხა მიწაზე. საბჭოთა გამანადგურებლის სიმამაცით თავზარდაცემულმა დანარჩენმა სვავებმა დასტოვეს ბრძოლის ასპარეზი და მოჰკურცხლეს.

ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა ამ ბრძოლაში ჩამოაგდო ერთი ჰიტლერელი სვავი, ხოლო დანარჩენი თერთმეტი გაჰფანტა და უკუაქცია.

მამაცი პილოტი უვნებლად დაეშვა თავის აეროდრომზე.

კაპიტან აბზიანიძის ვაჟკაცობამ ყირიმის ფრონტის მებრძოლთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

* * *

მფრინავი, კაპიტანი მიხეილ აბზიანიძე თბილისელი რკინიგზელის შვილია. დაიბადა 1907 წელს. წითელ არმიაში რიგით წითელარმიელად ორ წელიწადს, ხოლო ზემსახურად ერთ წელიწადს სამსახურის დროს დაინტერესდა იგი ავიაციით და საავიაციო სკოლაში გაიგზავნა. 1934 წელს დაამთავრა სკოლა და გაამწესეს გამანადგურებელი ავიაციის ერთ-ერთ ნაწილში. მონაწილეობას იღებდა ორ ომში, სადაც სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით. წითელარმიაში გაწვევამდე მუშაობდა ელექტრომექანიკოსად თბილისის რადიოსადგურში, ახლა კი თავის ნაწილში მეთაურის მოადგილეა.

* * *

განმარტოებით დგას პატარა ქოხი—ნ. აეროდრომის სამეთაურო პუნქტი. აქ თავს მოუყრიათ მფრინავებს, რომელნიც მზად არიან ყოველ წუთს დასხდნენ მანქანებზე და ჰაერში ავიდნენ სარდლობის საბრძოლო დავალების შესასრულებლად, ხოლო ვიდრე განგაშის ნიშანი არ მოუციათ, ზოგი რუკას ჩაჰკირკიტებს, ზოგიც პირადი ტუალეტით არის გართული, ზოგიც წერილსა სწერს სახლში. ამხ. აბზიანიძე და ნაწილის კომისარი ამხ. ი. ტაფტი კი პირისპირ ისხდნენ, მუხლებზე ჭადრაკის დაფა დაედოთ, სტრატეგიულ ამოცანებს სწყვეტდნენ 64 კვადრატზე.

შტაბის უფროსმა, რომელსაც ჩვენ ნაწილში მივყევით, გაგვაცნო ჩვენი თანამემამულე. ჭადრაკის თამაში შესწყვიტეს. ჩვენს წინაშე დადგა მომცრო ტანის, შავგვრემანი ქართველი საბჭოთა მფრინავი, კოხტად ჩაცმული და გაპარსული, მკერდზე ორი ორდენით, მკვირცხლი თვალებით. ხელი ჯანიანად ჩამოგვართვა. გავაბით საუბარი. საერთო საკითხებზე ჩვენი მოსაუბრე ენაწყლიანობდა, ხოლო საუბარი მის ვაჟკაცობაზე რომ გადავიტანეთ, აქ კი ძუნწმეტყველი გამოდგა. ვუჩვენეთ საფრონტო გაზეთი, სადაც მის შესახებ ეწერა. შეკრთა, თითქოს თავი უხერხულად იგრძნო.

— განა ამის ფასად ღირდა! არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. ეს ჩვეულებრივი ამბავია, რომელიც გნებავთ საბჭოთა პილოტი მოიქცეოდა სწორედ ასე, ჩემს მდგომარეობაში რომ ჩავარდნილიყო, — გვითხრა მან.

ძალიან ძნელი შეიქნა მისგან დაწვრილებით მისი საჰაერო სიმამაცის შესახებ რაიმეს გაგება და ალბათ ვერც შევიტყობდით რასმე, საუბარში ნაწილის კომისარი რომ არ ჩაგვრეოდა და არ დაგვხმარებოდა. მან კი ამ დროს პაპიროსის წევას უმატა და წითლდებოდა, როგორც ბავშვი, რომელსაც სჯაროდ აქებენ და საქციელს უწონებენ.

ჩვენს სახელოვან თანამემამულეს სიამაყის გრძნობით აღსავსენი დავშორდით. მან კარებამდე გამოგვაცილა და მაგრად ჩამოგვართვა ავიაგამანადგურებლის შტურვალზე ნაწრთობი ხელი.

მოვდივართ და საუბარი, მსჯელობა კაპიტნის გარშემო ტრიალებს. ცაში კი განუწყვეტლივ სრიალებენ ჩვენი ავიაგამანადგურებლები.

ჭეშმარიტად ღირსეული შვილი აღუზრდია საქართველოს საბჭოთა ხალხს. იგი მედგრად და ვაჟკაცურად იცავს სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას.

უნებლიეთ გვაგონდება ჩვენი სიამაყე პოეტის სიტყვები:

„დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ა მაგრე შენისთანა!"

ან. კილენჯერიძე

მოქმედი არმია.
ფრონტის ყირიმის უბანი.
აპრილი, 1942 წ.

მაიორ ა. დ. ჯახიევის ჯავშნიან მატარებლის მეთაურთა და მებრძოლთა დაჯილდოება

მოსკოვი, 27 აპრილი (ზილდაპარატით „კომუნისტის" საკ. კორ.). დღეს მოსკოვის გაზეთები აქვეყნებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას მოსკოვის თავდაცვის ზონის ჯარების მეთაურთა და რიგითი შემადგენლობის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

დაჯილდოებულთა შორის არიან მეთაურები და მებრძოლები იმ სახელოვანი ჯავშნიანი მატარებლისა, რომელიც თბილისში შესდგა და რომელსაც უკვე არაერთხელ გაუნადგურებია ფაშისტი დამპყრობლები. ამ ჯავშნიანი მატარებლის მეთაური მაიორი ალექსი დავითის-ძე ჯახიევი და კომისარი უფროსი პოლიტხელი ვლადიმერ პეტრეს-ძე პოლიუსუკი დაჯილდოებული არიან წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ჯავშნიანი მატარებლის დაზვერვის მეთაური ლეიტენანტი იური გიორგის-ძე ბალდოევი, რომელმაც განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა მოსკოვისათვის ბრძოლებში, დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. ამავე ორდენით დაჯილდოებულია სერჟანტი გრიგოლ პავლეს-ძე მაიაჩკო, ერთ-ერთი ქვემეხის მეთაური, რომელიც მოსკოვისათვის ბრძოლებში დაიჭრა.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია სამხედრო ფერშალი გრიგოლ ძალუნის-ძე დოლიძე, დაბადებული ჩოხატაურის რაიონის სოფ. განახლებაში. მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლების დროს მან არაერთხელ და წარმატებით შეასრულა მტრის ცეცხლქვეშ სარდლობის პასუხსაგები დავალებანი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია აგრეთვე სერჟანტი ვასილ ვასილის-ძე რეუცკი, რომლის სიმამაცისა და მოსაზრებულობის მეოხებით თავიდან აცილებულ იქნა ჯავშნიანი მატარებლის გარშემორტყმა მტრის ტანკებით.

პოლიტხელის მოადგილე, ერთ-ერთი ქვემეხის მემიზნე მიხეილ ილიას-ძე კრივოშეევი, წითელი არმიის მოხალისე, დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლების დროს მან განსაკუთრებული სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინა, ხოლო როდესაც ჯავშნიანი მატარებლისაკენ მტრის ტანკები გამოიჭრნენ, მან ზუსტი სროლით დააზიანა 4 ტანკი, რამაც ხელი შეუწყო მტრის იერიშის მოგერიებას.

მედლით „სიმამაცისათვის" დაჯილდოებულია ერთ-ერთი ქვემეხის მეთაური, სერჟანტი გიორგი ხარიტონის-ძე კოკოშვილი, თბილისელი. მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლების დროს იგი დაიჭრა, მაგრამ თავისი პოსტი არ დასტოვა, სანამ მტერი არ უკუაგდეს.

ჯავშნიანმა მატარებელმა, რომლის მეთაურიც არის მაიორი ჯახიევი, უჭკნობი სახელი მოიხვეჭა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ღირსეულად დააფასა მისი საბრძოლო საქმეები.

ვ. ყარა-მურზა

1942 წლის გაზაფხული

1939 წლის გაზაფხული უკანასკნელი ომამდელი გაზაფხული იყო დასავლეთ ევროპაში. უკანასკნელად ანათებდა იქ მაისის მხიარული მზე; ადამიანები სიხარულით შესცქეროდნენ მას და იმედით იყურებოდნენ წინ. ამის შემდეგ დასავლეთ ევროპაში ხანგრძლივი, მიხაკისფერი ფაშისტური ღამე დადგა. ქვეყნები და ხალხები გაშეშდნენ, გაირინდნენ. მხოლოდ ზოგიერთებმა აღნიშნეს თავიანთთვის 1940 და 1941 წლების 1-ლი მაისის დადგომა. კალენდრის მიხედვით გაზაფხული იყო. კალენდრის მიხედვით ბუნება მწვანდებოდა, მაგრამ დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიკვდილი იყო გამეფებული.

მხოლოდ აღმოსავლეთში, დიადს საბჭოთა ქვეყანაში ანათებდა მზე; იქ ჩვეულებრივად მოვიდა გაზაფხული, და საბჭოთა ადამიანები ტრადიციული პროლეტარული დღესასწაულით ეგებებოდნენ მას.

საბჭოთა ქვეყნისაგან მთელ მსოფლიოს ეფინებოდა შუქი. ჰიტლერის ქუსლქვეშ მშვინავი ხალხები აღმოსავლეთისაკენ, მომავლის კაშკაშა განთიადისაკენ იყურებოდნენ, და ეს ცოფს ჰგვრიდა სწორედ ჩამხმობ ფაშისტებს. ისინი რწმუნდებოდნენ, რომ, სანამ თავისუფალი საბჭოთა კავშირი არსებობს, არ შეიძლება სრული ფაშისტური წყვდიადი იყოს მსოფლიოში, და მთელს დედამიწას გააბრწყინებს შემოქმედებითი აზრის ცეცხლი. ფაშისტი მანიაკის აკვიატებული იდეა გახდა—ჩაექრო საბჭოთა შუქურა, მთელი კაცობრიობის გზისმაჩვენებელი!

ევროპა სდუმდა. როდესაც ჰიტლერის ურდოები საბჭოთა ქვეყანაში შემოიჭრნენ, ევროპა დიდ პოლიტიკურ სასაფლაოს ჰგავდა, და ფაშისტი ჯალათი მესაფლავენი მტკიცედ დაიარებოდნენ მიწასთან გასწორებულ ქვეყნებსა და ხალხებს შორის. ფეხით სთელავდნენ ადამიანებს და კულტურას, ქვეყნები ჰქონდათ გამართული დამარცხებულთა ძვლებზე, იტაცებდნენ სახელმწიფოთა ქონებას.

ევროპა სდუმდა ყაზარმული დარტყმით რაინდასხმული. იგი წინააღმდეგობას არ უწევდა. მარტო იუგოსლავიის დაქსაქსული, ცუდად შეიარაღებული პარტიზანული ჯგუფები ეწეოდნენ თავგანწირულ და, თითქოს უიმედო ბრძოლას მთებში.

ევროპა სდუმდა. იგი არა მარტო დათრგუნვილი იყო ფაშისტური უხეში ძალით, იგი არა მარტო დაშინებული იყო ტერორით, იგი ყველაზე უფრო თავზარდაცემული იყო საკუთარი უღონობის გრძნობით, თავისი შერცხვენის შეგნებით, უიმედობის გრძნობით. ეს იყო პოლიტიკური დამბუნება,—პოლიტიკური ორგანიზმის საშინელი შერყევა, ფიზიოლოგიური მოშლილობის მსგავსი, როდესაც სიცოცხლის ყოველი ფუნქცია ირღვევა დამბლის ზეგავლენით.

ფაშისტი ჟანდარმები—მოიერიშენი დადგნენ ევროპის ყველა გზაჯვარედინზე. გერმანიის არმიის უძლეველობის მითი ტყვიის ცად დააწვა თავს ევროპას, ცად, რომელიც ახშობდა წინააღმდეგობის გაწევის ყოველსავე აზრს, ხსნის ფიქრსაც კი შეუძლებელს ხდიდა. და ერთბაშადვე მთელი ევროპა მოწყვეტილ იქნა მთელს მსოფლიოს, საბჭოთა ქვეყანას. მას გარს შემოავლეს მაღალი ფაშისტური კედლები, და მხოლოდ ფაშისტური ცრუ სიტყვა, მხოლოდ ფაშისტური გაიძვერული პროპაგანდა არღვევდა ოკუპირებულ სივრცეთა თვალბედითს სიწყნარეს.

მაგრამ ვერც საპყრობილის კედლები და ვერც ფაშისტური სიცრუე ვერ შეაკავებს საბჭოთა სიმართლის ძლევამოსილ სვლას. როგორ გაიგეს ოკუპირებულ ქვეყნებში გერმანიის არმიის დამარცხების ამბავი, გმირული წინააღმდეგობის ამბავი, რომელიც მას საბჭოთა ხალხმა გაუწია? როგორ გავრცელდა უშიშარ საბჭოთა პარტიზანების ამბავი? პირველმა ვინ მოიტანა მათ სასიხარულო ამბავი, რომ წითელმა არმიამ გააცამტვერა გერმანიის არმიის უძლეველობის მითი?

ის სხვადასხვა გზით მივიდა ტყვექმნილ ევროპამდე. შესაძლოა, სიმართლის გაგებას მოწყურებულმა ადამიანებმა ის ჯალათების შემკრთალ სახიზე ამოიკითხეს. შესაძლოა, ჰიტლერელები მოულოდნელმა ხმის კანკალმა გასცა... ათასობით ნაკადულით, მიწისქვეშა წყაროებით ვრცელდებოდა დასავლეთ ევროპაში სიმართლე წითელი არმიის შესახებ. ამაოდ გაჰკიოდნენ ფაშისტი რადიომყვირალები მთელი წითელი არმიის მოსპობის შესახებ, ჰიტლერის ურდოების არნახულ გამარჯვებათა შესახებ, საბჭოთა ქალაქების დაპყრობის შესახებ,—ამას ისმენდნენ საფრანგეთსა და ნორვეგიაში, ბელგიასა და დანიაში, საბერძნეთსა და იუგოსლავიაში — და არა სჯეროდათ.

ევროპა ცოცხალია, იგი მხოლოდ გარინდებულია დროებით, მაგრამ მოკლული არ არის. ჩვენ ეს კაკუნით გავიგეთ. ევროპა აკაკუნებდა. ასე უკაკუნებს კუბოს სახურავს ცოცხლადვე დამარხული. ასე აკაკუნებენ შახტებში, ზვავქვეშმოყოლილი მაღაროელები და იტყობინებიან თავიანთ შესახებ... ევროპას კაკუნით გამოჰყავდა პირობითი ასო „ვ" (ვიქტუარ—გამარჯვება). ეს ჯერ კიდევ არ იყო ბრძოლა. ეს იყო მხოლოდ სიგნალიზაცია. გამოღვიძების პირველი ნიშნები, ხალხებისა და ქვეყნების ერთმანეთისადმი გამოხმაურება, კაკუნი საერთო საპყრობილის—ევროპის სხვადასხვა საკნიდან. ეს სუსტი კაკუნი იყო, მაგრამ იგი ადამიანებს აღვიძებდა. ამ კაკუნზე იღვიძებდა ეროვნული სირცხვილი, ეროვნული ღირსება, იგი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. მასში იყო მისალმება წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხისადმი—ხალხების განმათავისუფლებელთადმი.

ასე იყო შარშანდელ ზაფხულს, როდესაც გერმანიის არმია კიდევ მოდიოდა წინ საბჭოთა ქვეყანაში, როდესაც ფაშისტური პროპაგანდა კიდევ გაჰკიოდა გამარჯვებებზე, როდესაც ჰიტლერი გულდაჯერებულად აღუთქვამდა გერმანელებს—ზამთრის დადგომამდე დავამთავრებ ომს აღმოსავლეთში. ოკუპირებული ევროპის ქალაქებში გერმანელთა ძლიერი გარნიზონები იდგა. კვისლინგები ჯერ კიდევ ყოყლოჩინობდნენ და თავხედობდნენ. მაგრამ ოკუპირებულ ევროპაში უკვე ინათა, და ადამიანთა ცოცხალი ხმები გაისმა. ჰიტლერის გერმანიამ იგრძნო ევროპის ვულკანის პირველი, ჯერ კიდევ სუსტი ბიძგები, რის შემდეგაც კვამლის წვრილი ზოლი გამოჩნდა.

გავიდა შემოდგომა, მას ზამთარი მოჰყვა. ევროპამ დაინახა ნაცემი, ტანშიშველი და ფეხშიშველი, ტილიანი გერმანელი ჯარისკაცი, რომელიც შიშისა და გაბოროტებისაგან კანკალებდა. ევროპამ დაინახა ხოცვა-ხოცვა? ხოცარი, თითქოს დაუჯერებელი სანახაობა: გაქცეული გერმანელი ჯარისკაცი. იგი იარაღს ჰყრიდა და გარბოდა, გარბოდა მოსკოვის მიდამოებიდან, როსტოვის მიდამოებიდან, ქერჩიდან... ფაშისტურ პროპაგანდას არ შეეძლო ამის დამალვა. გარბოდნენ გერმანელი ჯარისკაცები, მათ გაჰყვნენ გერმანელი გენერლები, რომელთაც ჰიტლერმა პანღური ამოჰკრა. გერმანიის არმიის უძლეველობის მითი ტალახში ეგდო, გერმანიის უკანდახეული არმიის მიერ გადაგდებული,—და ევროპისათვის მოულოდნელ ყოველივე ამ მოვლენებთან ერთად სჭკნებოდა გერმანელი ოკუპანტების მედიდური სახე, ძირს ეშვებოდა მათი ცხვირები და თუმცა კიდევ უფრო ჩაღდებოდა მათი გაბოროტება, მაგრამ მასში ძალა კი აღარ გამოსჭვიოდა, არამედ პანიკა.

ჩვენ ევროპაში კვლავ დავინახეთ ადამიანები,—თავისუფალი ადამიანები, რომელთაც ენა არ ჩავარდნიათ და ღირსების გრძნობა არ დაუკარგავთ. ჩვენ გავიგეთ, რომ მათი მუშაობა ერთხელაც არ შეწყვეტილა. ფაშისტურ საფლავის ლოდქვეშ გამუდმებით მიმდინარეობდა პატრიოტთა გმირული ბრძოლა. ისინი ეშაფოტზე მიდიოდნენ. ისინი თავიანთ სიცოცხლეს სწირავდნენ წითელი არმიის შესახებ ფურცლების ბეჭდვისათვის, ანტიჰიტლერული პლაკატების გაკვრისათვის; ისინი ისე იხოცებოდნენ, რომ უცნობი რჩებოდა მათი ვინაობა. მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წუთს მათ თვალწინ ეხატებოდათ გაცისკროვნებული საბჭოთა კავშირი.

ახლა ისინი ბევრნი არიან. ისინი ყველგან არიან. იუგოსლავიაში ეს უკვე გაბედული პარტიზანთა დაქსაქსული ჯგუფები როდი არიან, არამედ სახალხო არმიაა, რომელიც სწორ შეტევითს ბრძოლებს ეწევა. მას უკვე მოეპოვება თავისი ავიაცია, და დალმაციის ნაპირებთან დადიან სერბიის წყალქვეშა ნავები. ეს არის იუგოსლაველი ხალხის ომის გაგრძელება, იმ ხალხისა, რომელიც უკვე თავისი ტერიტორიის საკმაოდ დიდ ნაწილს ჰფლობს და ოკუპანტების გარნიზონებს ალყას არტყამს დაპყრობილ ქალაქებში. ეს ჯერ კიდევ არ არის მეორე ფრონტი ევროპაში ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მაგრამ იგი უკვე სერიოზული ელემენტია მეორე ფრონტისათვის.

ნორვეგიაში ცოფმორეული გერმანელი ოკუპანტები უამრავ დაბრკოლებას უქმნიან ნორვეგიელ პატრიოტებს, რომელნიც ცდილობენ გაარღვიონ ბლოკადა და ამით დაეხმარონ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალებს. დაპატიმრებულია ნორვეგიის არმიის ყველა ოფიცერი, სასტიკად ადევნებენ თვალყურს ყველა მეთევზეს, ყველა მატროსს. გერმანელები ნორვეგიის სანაპიროზე თავს ისე გრძნობენ, თითქოს ნემსებზე სხედანო. ეს ჯერ კიდევ არ არის მეორე ფრონტი ნორვეგიაში, მაგრამ ეს უკვე სერიოზული ელემენტია მეორე ფრონტისათვის.

ჰიტლერი შეშფოთებული იყურება თავისი არმიის ევროპის ზურგისაკენ. კვამლის სქელი სვეტი აღმართულა ევროპის ვულკანზე. მძლავრი ბიძგებისაგან ზანზარებს დედამიწა. ეს ბიძგები ლიანდაგიდან აგდებს გერმანელი ჯარების ეშელონებს. მათგან ჰაერში იტყორცნება სამხედრო ქარხნები, თავიანთ პოსტებზე იღუპებიან გერმანელი გუშაგები. უფრო და უფრო ძნელდება გარნიზონების მოხსნა ოკუპირებულ ქვეყნებში, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გამოსაგზავნად.

დნება ჰიტლერის არმიის რეზერვები. დნება ფაშისტ არამზადა მოღალატეთა რეზერვებიც. ჩაიფუშა ცდა—შეექმნათ ოკუპირებულ ქვეყნებში დამოუკიდებლობის ფერუმარილით შელამაზებული, ნაციონალური ღირსების საამური სახის მქონე მარიონეტული მთავრობები. კვისლინგები გაკოტრდნენ, საჭირო გახდა ლავალების, უნილბო ჯამლელების, ისეთი არამზადების ამუშავება, რომელთაც ლეღვის ფოთოლი არ აფარიათ. მაგრამ, რაც უფრო გაშიშვლებული გამოდის ხალხის წინაშე გერმანელთა ოკუპაცია, მით უფრო მრავლდება პატრიოტთა რიგები.

ევროპა აღარა სდუმს. კაკუნი ხალხის რისხვის საშინელ გრგვინვად იქცა. ბრძოლა გმირებს წარმოშობს. საფრანგეთში ვის შეუძლია აუღელვებლად წაიკითხოს პერისა და სემარის მიერ სიკვდილის წინ დაწერილი წერილები! ისინი მტკიცედ და უშიშრად კვდებოდნენ, ამასთან სალამს უთვლიდნენ წითელ არმიასა და ამხანაგ სტალინს. ისინი უკანასკნელ მომენტამდე წინ იყურებოდნენ და ხედავდნენ ხალხთა განთავისუფლების განთიადს.

ასე ბრუნდება გაზაფხული დასავლეთ ევროპაში. ეს ომიანობის დროის პირველი სასიხარულო გაზაფხულია. რა ვუყოთ, რომ ჯერ კიდევ მაგარია ფაშისტური საპყრობილის კედლები. ქვა კი არა, ადამიანი იყო ყოველთვის საპყრობილის გალავანი. თუ საპყრობილეს გულქვა მცველები ჰყავს, რომელთა გულსაც შიში არ ეკარება, მაშინ ხის კედლებიც შეუდრეკელია. ხოლო როდესაც საპყრობილის მცველთა გულში შიში შეიპარება, ქვაც ფუტუროდ იქცევა. ჰიტლერის გერმანია შიშმა, შეშფოთებამ შეიპყრო. ფაშისტური ცრუ პროპაგანდა გაზაფხულს მოუწოდებდა, რათა ზამთრის საშინელი აჩრდილი განედევნა. მაგრამ ახლა იგი ზურგს აქცევს გაზაფხულს. ჰიტლერელები ნერვიულობენ. ამის დასამალავად ისინი გაჰყვირიან გერმანელი ხალხის მოშლილი ნერვების შესახებ.

ევროპაში ჯერ კიდევ ფაშისტური მიხაკისფერი წყვდიადი სუფევს. ოკუპანტები მძვინვარებენ. ევროპას მძიმე და მედგარი ბრძოლები მოელის. ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი ძალების დაჭიმვა დასჭირდება, რათა მტერი დაამარცხოს, და უფრო მეტი,—რათა საბოლოოდ მოსპოს იგი. საბჭოთა ხალხს ბრძოლის მთავარი სიმძიმის გადატანა უხდება. წითელი არმია ურტყამს და კვლავაც არაერთხელ დაარტყამს ჰიტლერელთა ურდოებს, და ამ დარტყმებით სისხლისაგან სცლის მტერს, ქანცს ულევს მას. მაგრამ ჰიტლერის არმია ის აღარ არის, რაც წინათ იყო და არც წინანდელი ზურგი აქვს მას.

ევროპა ყრუდ ბობოქრობს და ზანზარებს, როგორც ვულკანი ამოხეთქის წინ. 1942 წლის გაზაფხული ევროპაში საკონცენტრაციო ბანაკების მავთულხლართში გადის, იგი საპყრობილეთა ფანჯრების რიკულში იყურება. მიესალმება მილიონობით მუშებს, რომლებიც ძალად მიჰყავთ გერმანიის დაზგებს. დასავლეთ ევროპაში ადამიანები ყველგან სალამს უძღვნიან 1942 წლის გაზაფხულს არალეგალური ფურცლებით, ქარხნებში საბოტაჟის გაწევით, რკინიგზებზე დივერსიების მოწყობით, ოკუპანტთა და გამცემთა მოსპობით. და ადამიანებს ყველგან სასიხარულო იმედით უნათებს საბჭოთა კავშირი—კაცობრიობის გიგანტური ჩაუქრობელი შუქურა, ბრძოლისა და თავისუფლების შუქურა.

დ. ზასლავსკი

ფრონტისა და ზურგის საბრძოლო ერთიანობაში იჭედება ფაშიზმზე გამარჯვება!

საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანები. სურათზე (მარცხნიდან [illegible]) [illegible] ხაძე, ალ. ქასრაძე, ალ. აიბა, ეფროსინე გრინი, ი. ილიუშინი; ქვევითა რიგში: ნ. ყიფიანი, [illegible] ნე კახაძე და ს. გაბრიაძე.

ორდენოსანი საქართველო აძლიერებს ფრონტისადმი დახმარებას

საქართველოს სოციალისტური მრეწველობის მუშები, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები თავდადებულად მუშაობენ, რომ ჩვენი სახელოვანი წითელი არმია უზრუნველყონ ყოველივე იმით, რაც საჭიროა ვერაგი მტრის — კაციჭამია ფაშისტების სრული განადგურებისათვის.

წინასამაისო სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი მთელმა რიგმა საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა, მუშებმა და კოლმეურნეებმა სახელოვნად შეასრულეს და გამარჯვებული შეხვდნენ პირველი მაისის დღესასწაულს.

„საქნავთის" ტრესტმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ნავთის ამოღებისა და ბურღვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მან აპრილის ბურღვის საწარმოო დავალება 27 აპრილისათვის 134 პროცენტით გაანაღდა. მირზაანის სარეწაოს № 172 ჭაბურღილის უფროსმა, ორდენოსანმა ზ. ბაკაშვილმა ბურღვის გეგმა ვადაზე 17 დღით ადრე შეასრულა.

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებმა გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს. აპრილში დიდად გაუმჯობესდა მარგანეცისა, ქვანახშირისა და გუმბრინის გამოზიდვის საქმე. ქვანახშირის გამოზიდვის გეგმა 29 აპრილისათვის 126 პროცენტით იყო შესრულებული, ხოლო გუმბრინის გამოზიდვისა—150 პროცენტით.

რკინიგზის საქართველოს გზებზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ვაგონების ბრუნვა.

ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს საწარმოო დავალებები და სამხედრო დაკვეთები. ადგილობრივი მრეწველობის მთელმა რიგმა წამყვანმა საწარმოებმა, როგორიცაა კალინინის სახელობის მექანიკური და 26 კომისრის სახელობის ქარხნები, ცელულოიდის ქარხანა, თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკა, რომელმაც 4 თვის გეგმა 29 აპრილისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

1 მაისს კარგი მაჩვენებლებით ხვდებიან მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალი საწარმოებიც. თბილისის 1-ლმა, მე-2 და მე-6 სამკერვალო ფაბრიკებმა გადაჭარბებით შეასრულეს 1942 წლის პირველი კვარტალის გეგმა, ხოლო ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ— აპრილის გეგმა.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებას ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეებმა ქვანახშირის ამოღების გადიდებით უპასუხეს. მაგალითად, წინა დღეებთან შედარებით ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის მაღარომ 19 აპრილს 99 ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღო. ამ მაღარომ ქვანახშირის ამოღების აპრილის გეგმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა. ლენინის ორდენით დაჯილდოებული მნგრეველი-მებიგე ა. ქასრაძე ყოველდღიურ დავალებას 200 პროცენტით ასრულებს, ხოლო ტყვარჩელის ქვანახშირის შახტის მნგრეველი, ლენინის ორდენოსანი ა. აიბა — 600-700 პროცენტით.

შეჯიბრებამ და ცნობილი მღარველის დიმიტრი ბოსის მუშაობის მეთოდის გაცნობამ ბევრი ათასოვანი გახადა, გამოელინდნენ ათასოვანი ბრიგადებიც. ჩვენი გაზეთის მკითხველები უკვე იცნობენ თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ოსტატ გიორგი დეკანოზიშვილისა და მჭედელ ლუდუშაურის სახელოვან ბრიგადებს. პირველმა დღიური დავალება 22 აპრილს 1.150 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორემ — 27 აპრილს — 1.452 პროცენტით. ორათასოვანი გახდა ამავე ქარხნის კომკავშირელი ზეინკალი მიხეილ ჯობაძე. ათასოვანია ზეინკალი ადამ ხუციშვილი, მიხეილ შესტოპალოვი, მღარველი გურასპაშვილი, კობერიძე და სხვ.

საქართველოს კოლმეურნეობები წელს შარშანდელთან შედარებით 62.000 ჰექტარით ადიდებენ სათეს ფართობებს. საქართველოს კოლმეურნეობებს 25 აპრილისათვის დათესილი ჰქონდათ 185.168 ჰექტარი. წალკის რაიონში საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა უკვე შესრულებულია 90-მდე პროცენტით. მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე ახალციხის, ხაშურის, ორჯონიკიძის და სხვა რაიონები. თავთავიანი კულტურების თესვა უკვე დაამთავრეს ყვარლის, ლაგოდეხის, ხაშურის, ჭიათურის რაიონების, ხოლო მზესუმზირის თესვა — თეთრი წყაროს, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების კოლმეურნეობებმა. ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებს 106,7 პროცენტით შესრულებული აქვთ აგრეთვე კარტოფილის თესვის გეგმა.

საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში ძირითადად დამთავრებულია საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოები—ჩაის პლანტაციების შებარვა და ბუჩქების გამოყვანა-შეკრეჭა, გაძლიერებული ტემპებით სწარმოებს პლანტაციებში მინერალური სასუქების შეტანა, ჩაის ფოთლის კრეფისათვის მზადება.

მახარაძის რაიონის მტს-მა ვადაზე ადრე შეასრულა 1942 წლის როგორც პირველი კვარტალის, ისე აპრილის გეგმები. ამავე რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის და წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის" მოწოდებათა პასუხად წელს უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ფართოდ გაშლილი სოცშეჯიბრების საფუძველზე ხაშურის რაიონის სოფ. სარტყელას ქ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ 150 პროცენტით შეასრულა თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა, ხოლო სიმინდის თესვისა—125 პროცენტით, ბათუმის რაიონის სოფ. ორთაბათუმის კოლმეურნეობა „კულტურის" წევრები აიშე კორძაია, ნაიმე ნაგერვაძე, ემინე ტოპალოღლი და სხვები მამაკაცების პროფესიებს დაეუფლნენ და დღეში თითოეული ერთნახევარ—ორ ნორმას ასრულებს. კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს კოლმეურნეობა „ახალი ოჯახის" წევრები კატო მიქელაძე, ვანო ყურაშვილი, კატო გალუსტაშვილი დავალებებს ორმაგად და ხშირად სამმაგად ანაღდებენ. მახარაძის მტს-ის ტრაქტორისტები ტიტიკო და ისიდორე ჩხაიძეები 140-150 პროცენტით ასრულებენ დღიურ ნორმებს. თელავის მტს-ის ტრაქტორისტი თამარ ჯავახიშვილი დღეში ნაცვლად 2,7 ჰექტარისა 4,5 ჰექტარს ხნავს. ყვარლის მტს-ის მეცხრე ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ლოლიაშვილმა საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმა 231 პროცენტით შეასრულა და სოცშეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მტს-ის გარდამავალი დროშა მიიღო. თბილისის მტს-ის მეექვსე ბრიგადის ბრიგადირმა ს. ოსაშვილმა საგაზაფხულო ხვნის გეგმა 150 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეხუთე ბრიგადის ბრიგადირმა ი. ჩინაშვილმა—168,8 პროცენტით.

კრასნოდარელ კოლმეურნეთა მიმართვის პასუხად მარტო ტყიბულის კოლმეურნეობებში თესვის გეგმის გადამეტებით თავდაცვის და ფაშისტ ოკუპანტებისაგან დაზარალებულ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დახმარების ფონდში სთესენ 78 ჰექტარს. ამავე მიზნით გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზის კოლმეურნეობაში 10 ჰექტარი ითესება, ხოლო სოფელ სვენეთის კოლმეურნეობაში—5 ჰექტარი ხორბალი, 3 ჰექტარი ქერი და 2 ჰექტარი სიმინდი. სოხუმის რაიონის სოფ. გუმისტის კოლმეურნეობა „რევოლუციის ნაპერწკლის" წევრებმა კი იკისრეს თავდაცვის ფონდისათვის გეგმის გადამეტებით დასთესონ 44 ჰექტარი სიმინდი, სოფ. „წითელი ბესლეთის" ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა—30 ჰექტარი.

საქართველოს კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები, ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდებიან პროლეტარიატის ბრძოლისა და სოლიდარობის საერთაშორისო დღეს — პირველ მაისს და თავდადებული შრომით აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას.

ახალი საწარმოო გამარჯვებებით ეგებებიან 1 მაისს

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა კოლექტივი ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდება ბრწყინვალე დღესასწაულს— 1 მაისს. ქარხანამ აპრილის საწარმოო დავალება გადამეტებით შეასრულა, კარგად ჩაატარა მუშათა შორის ტექმინიმუმის სწავლება და 40 დიასახლისი მოამზადა მამაკაცთა პროფესიების ასათვისებლად.

მექანიკური საამქროს სტახანოველი ქალი ამხ. აგრაფინა კალინინა ქარხანაში სამამულო ომის დაწყების შემდეგ მოვიდა. იგი ერთ თვეში საუკეთესოდ დაეუფლა თავის სამუშაო დაზგას და 29 აპრილს საამქროს ოსტატის ამხ. ა. გოგიშვილის დახმარებით დღიური საწარმოო დავალება 1.120 პროცენტით შეასრულა. ამ დღეს მან ნაცვლად 47 დეტალისა 537 დეტალი დაამზადა. ამავე დღეს ხარატმა ამხ. კაზაკოვმა ხელახლა გაიმეორა რეკორდი და, ნაცვლად 24 აპრილს შესრულებული 1.073 პროცენტისა, დღიური საწარმოო დავალება 1.118 პროცენტით შეასრულა.

გუშინ, 30 აპრილს, ამწყობი საამქროს ოსტატის ამხ. დეკანოზიშვილის ბრიგადამ, კომკავშირელ სერგო ტაბატაძის, ნიკოლოზ ბარზენკოს და ვლადიმერ მენაბდის შემადგენლობით, დღიური გეგმა 2.640 პროცენტით შეასრულა. ამ დღეს მათ საამწყობო საამქრო ერთი თვით უზრუნველჰყვეს მანქანის საჭეებით. ამავე დღეს მექანიკური საამქროს ხარატმა ამხ. ალექსანდრე პატარქალაშვილმა დღიური საწარმოო დავალება 1.090 პროცენტით გაანაღდა და მანქანის მოტორის სარქველი ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 44 ცალისა 480 ცალი დაამზადა.

აპრილის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელმა ქარხანამ წინასამაისო შეჯიბრებაში ვალდებულება აიღო აპრილის თვის დაზგათმშენებლობის გეგმა 105 პროცენტით შეესრულებინა, ხოლო საერთო საწარმოო გეგმა—110 პროცენტით. კიროველებმა სიტყვა საქმედ აქციეს. 30 აპრილისათვის დაზგათმშენებლობის და საერთო საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

ქარხანაში მთელმა რიგმა საამქროებმა (ამწყობმა, მექანიკურმა, სამჭედლომ და სხვ.) გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს. ამწყობი საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. არტემ ბენდენიშვილმა დიდი დღესასწაულის წინადღეს—30 აპრილს დღიური საწარმოო დავალება 900 პროცენტით გაანაღდა, ამავე საამქროს ზეინკლებმა ამხ. ი. არტემოვმა და შესტოპალოვმა 29 აპრილს დღიური დავალება 1.200 პროცენტით შეასრულეს, ხოლო გუშინ, 30 აპრილს—1.500 პროცენტით. საიარაღო საამქროს სტახანოველმა ამხ. ფ. სარიევმა, რომლის დაზგაზე უკვე 9 დღეა ფრიალებს საამქროს გარდამავალი დროშა, 26 აპრილს დღიური დავალება 1035 პროცენტით გაანაღდა.

ადიდებენ ქვანახშირის ამოღებას

ტყიბული („კომუნისტის" კორ.). სტალინის სახელობის მაღარო და დასავლეთის შახტი—ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნავენ პირველ მაისს.

სტალინის სახელობის მაღაროში ახალგაზრდობის ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ს. ცანავა ხელმძღვანელობს, საპირველმაისოდ ექსპლოატაციაში გასაშვებად მოამზადა ქვანახშირის ახალი სანგრევი, რომელიც 80 პროცენტამდე გაადიდებს ბრიგადის მიერ ქვანახშირის ამოღებას. ლაჩავას ბრიგადასთან შეჯიბრებაში დაწინაურდა ა. გაბრიაძის ბრიგადა, რომელმაც პირველიდან 29 აპრილამდე ქვანახშირის ამოღების გეგმა 153 პროცენტით შეასრულა. შეჯიბრებაში განსაკუთრებით წინ წავიდნენ გ. გაბელაშვილისა და ვ. სოფრომაძის ბრიგადები. მათ წინასამაისო შეჯიბრებით აღებული ვალდებულება აპრილის 28 დღის განმავლობაში 180-216 პროცენტით შეასრულეს.

29 აპრილს სტალინის სახელობის მაღაროს მესამე საექსპლოატაციო უბანში დაწინაურდნენ სამთო ოსტატების გ. ძოწენიძისა და ა. გაბაიძის ცვლები. პირველმა გეგმა შეასრულა 105 პროცენტით, ხოლო მეორემ—113 პროცენტით.

დასავლეთის შახტში წინასამაისო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გაანაღდეს და სტახანოველთა რიგებში ჩადგნენ ა. ობოლაძე, ა. ერემეევი, გ. ბიტკინი და ვ. მაჩიტიძე, რომლებიც ყოველდღიურ ნორმებს 150-210 პროცენტით ასრულებენ.

დ. საბელაშვილი

სტალინის სახელობის მაღაროს წარმატება

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ამხ. ს. ჯაფარიძე) გამარჯვებით ხვდება 1 მაისს. ამ მაღაროში მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე უბნები მარტში ჩამორჩებოდნენ. აპრილში კი მთელი მაღარო საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს სადღეღამისო დავალებებს, სამშობლოს აძლევს მაღალხარისხოვან მარგანეცს.

მეხუთე უბანი, რომელსაც ლენინის ორდენით დაჯილდოებული ამხ. ტ. ფოფხაძე ხელმძღვანელობს, მარგანეცის ამოღების ყოველდღიურ გეგმებს 110-120 პროცენტით ასრულებს. წარმატებით მუშაობს გამოცდილი ტექნიკოსის ამხ. გ. ხვედელიძის ცვლა. იგი ყოველთვის მეტსა და მაღალხარისხოვან მარგანეცს იძლევა. მარგანეცის ამწმენდი ამხ. ა. ყაველაშვილი დავალებას 150-170 პროცენტით ასრულებს, ხოლო სანგრევ ჩაქუჩზე მომუშავე ამხ. გრ. დონგუზოვი ორ-ორ ნორმას იძლევა. მარგანეცის ამოღების სადღეღამისო დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს მეექვსე უბანიც (უფროსი—ა. კაპანაძე). მეშვიდე უბნის საექსპლოატაციო ცვლა ამხ. ზ. ლეჟავას ხელმძღვანელობით დავალებას 130 და მეტი პროცენტით ასრულებს. აქ სტახანოველი ამწმენდი ამხ. შ. გოგატიშვილი მარგანეცის ნგრევის დავალებას 160-180 პროცენტით ასრულებს.

სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივს ეჯიბრება, სიტყვას იძლევა, რომ შეუსვენებლად იმუშავებს და სამშობლოს მისცემს მეტ და მაღალხარისხოვან მარგანეცს.

პ. ჭიოკაძე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა. სურათზე (მარჯვნიდან მარცხნივ): მექანიკოსი ნ. ცილიკინი ამოწმებს დამზადებული პროდუქციის ნაწილებს; ორდენოსანი ხარატი ი. ხაჯალია და ათასოვანი მღარველი ნ. გურასპაშვილი თავიანთ სამუშაო დაზგებთან.

ფოტო რ. აკოფოვისა

ჩვენი მაისი

იყოს მზეგრძელი ჩვენი მაისი,
სანამ სიცოცხლის სუნთქვამ ინებოს.
სცოცხლობდეს მშობელ ქვეყნის მაისი,
მარად ვხედავდეთ გადაბრწყინებულს.

ჩვენი ოცნების მზე არ ჩაქრება,
და ჩვენი ქვეყნის ალორძინება,
მუდამ იდუღონ მზიურ ჩანჩქერებმა,
ხალხის გულძარღვში ოქროს დინებად.

მუდამ ჰქონოდეს ხალხს გამარჯვება
და სიხარული ათასფერადი;
იყოს ჯანმრთელი ხალხის მარჯვენა,
იყოს დღეგრძელი ჩვენი ბელადი.

სცოცხლობდეს ყველა გმირი ვაჟკაცი
სამშობლოსათვის სისხლის დამღვრელი,
სცოცხლობდეს მარად მზიურ კაშკაშით
ჩვენი სამშობლო განუსაზღვრელი —

— გამარჯვებული, მტერგაქცეული
იდგეს გამჭრელი, გულით მაგარი
და ჩვენი ტრფობა სისხლხორცეული
სულ იყოს მისი ნაამაგარი.

გიორგი ლეონიძე.

30 აპრილი, 1942 წ.

მადლობა დიდ სტალინს

ოცი წელია, რაც ტყიბულის ქვანახშირის მაღაროში ვმუშაობ ისეთ რთულსა და პასუხსაგებ პროფესიაზე, როგორიც მნგრეველ-მებიგეობაა. ამ ხნის განმავლობაში ჩამორჩენა არ მახსოვს. გასულ წელს 157,1 პროცენტით გავანაღდე საწარმოო დავალება. წელსაც დიდი წარმატებით ვმუშაობ, ნორმას ყოველდღიურად 200 პროცენტით ვასრულებ.

ჩემი შრომა დიდად დაფასდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული ვარ უმაღლესი ჯილდოთი—ლენინის ორდენით. მაღალი ჯილდო ახალგაზრდულ ენერგიას მმატებს ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის საქმისათვის საბრძოლველად.

მადლობა საბჭოთა მთავრობას, ლენინ-სტალინის პარტიას, დიდ სტალინს ჩემი შრომის დაფასებისათვის.

ჩემი ბრიგადა აღფრთოვანებულია ჩემი დაჯილდოებით. ბრიგადის თითოეული წევრი ვალდებულებას იღებს შეასრულოს ორ-ორი ნორმა. პირადად მე ბოლშევიკურ სიტყვას ვიძლევი, რომ უზრუნველვყოფ ახალი უბნის მომზადებას, რაც რამდენიმე ასეული ტონით გაადიდებს ქვანახშირის ამოღებას ჩვენს მაღაროში.

ალექსანდრე ქასრაძე
ლენინის სახელობის მაღაროს მთხრელთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

ჩემი სიხარული

გული სიხარულით ამევსო, როდესაც შევიტყე, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სხვა მოწინავე მაღაროელებთან ერთად მეც დამაჯილდოვა მედლით „შრომითი მამაცობისათვის". ამისათვის მადლობა საბჭოთა მთავრობას, დიდ სტალინს.

7 წელია, რაც ტყიბულის მაღაროში ვმუშაობ ქვანახშირის რჩევაზე. არ ყოფილა შემთხვევა, რომ წუნი მქონოდეს მუშაობაში და დავალებები დიდი გადაჭარბებით არ შემესრულებინოს. ახლა ვხელმძღვანელობ ქვანახშირის მრჩეველთა ბრიგადას, რომელიც მოწინავეთა რიგებში დგას.

დაჯილდოებასთან დაკავშირებით ბოლშევიკურ სიტყვას ვიძლევი, რომ ახალ გამარჯვებას მივაღწევ ქვანახშირის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში.

ელენე კახაძე
ლენინის სახელობის მაღაროს ქვანახშირის მრჩეველ ქალთა ბრიგადირი.

უფრო მეტი მონდომებით ვიმუშავებ

გასულ წელს 5.325 ტონა ქვანახშირი დავტვირთე, რითაც წლიური დავალება გადაჭარბებით შევასრულე. დაჯილდოებული ვარ მედლით „შრომითი წარჩინებისათვის". მაღალი ჯილდო მავალებს კიდევ უფრო მეტი მონდომებით ვიმუშაო, რათა ყოველდღიურად ორ-ორი ნორმა გავანაღდო.

პირობას ვიძლევი, რომ წელს ორი წლის გეგმას გადავაჭარბებ.

ემელიანე დალუნდარიძე
ლენინის სახელობის მაღაროს ქვანახშირის მტვირთავი.

ვიბრძოლებ ახალი გამარჯვებისათვის

ტყიბულის მაღაროში მუშაობა ბავშვობიდანვე დავიწყე. 1930 წელს დავამთავრე სამთო-ტექნიკური სკოლა და ცვლის უფროსად დამაწინაურეს. ჩემი ცვლა ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა, რის გამო 1937 წელს დაწინაურებულ ვიქენი უბნის უფროსად და დღემდე ამ თანამდებობაზე ვმუშაობ.

ჩემმა უბანმა გადაჭარბებით შეასრულა 1941 წლის ქვანახშირის ამოღების დავალება.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოების გამო ბოლშევიკურ სიტყვას ვიძლევი, რომ მივაღწიო ახალ გამარჯვებას ქვანახშირის ამოღების მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ლ. ფაშაკიძე
ლენინის სახელობის მაღაროს მესამე საექსპლოატაციო უბნის უფროსი.

შრომის ნაყოფიერება თვალსაჩინოდ გაიზარდა

გორის მტს-მა საგაზაფხულო ხვნის გეგმა 114,3 პროცენტით შეასრულა, — მოხნულია 800 ჰექტარი. პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ი. გასიტაშვილი) საწარმოო დავალება 209 პროცენტით შეასრულა— ნაცვლად 55 ჰექტარისა მოხნა 115 ჰექტარი, მეორე სატრაქტორო ბრიგადამ კი (ბრიგადირი ზ. გოჩიაშვილი)—152,4 პროცენტით, ხოლო გ. ნაცვლიშვილის ბრიგადამ—146 პროცენტით.

საწარმოო დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ყარამან და დავით ხარიბეგაშვილების სატრაქტორო ბრიგადებმა.

გორის მტს-ის ტრაქტორისტი ქალები: მანია ავაზნელი, თამარ ნაცვლიშვილი, მანია ბერიკაშვილი, მარგალიტა ავაზნელი და სხვ. წარმატებით ანაღდებენ სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

გორის მტს-ის დირექტორი ქ. აბალაკი
პოლიტგანყოფილების უფროსი გ. ზუმბურიძე

სოცშეჯიბრების გაშლის შედეგად

წულუკიძის მტს-მა წინასამაისო სოცშეჯიბრების შედეგად საგაზაფხულო ხვნის გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა — ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.400 ჰექტარისა მოხნა 1.453 ჰექტარი. ხვნის საქმეში მოწინავეა პირველი ბრიგადა (ბრიგადირი ჯიქია), რომელმაც ნაცვლად 368 ჰექტარისა მოხნა 510 ჰექტარი და დაზოგა 1.391 კილოგრამი საწვავი მასალა. ტრაქტორისტმა ა. ჩხეტიანმა ხვნის გეგმა 171 პროცენტით შეასრულა და 201 კილოგრამი საწვავი დაზოგა. ასევე წინ არიან ტრაქტორისტები ჯალაღანია, გორდაძე და სხვ.

წულუკიძის მტს-ის დირექტორი ხვიჩია
მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი ნანიკაშვილი

127 პროცენტით

წინასამაისო სოცშეჯიბრების საფუძველზე ახმეტის (თელავის რაიონი) მტს-მა საგაზაფხულო ხვნის გეგმა 127 პროცენტით შეასრულა—ნაცვლად 1.500 ჰექტარისა 25 აპრილისათვის მოხნა 1.813 ჰექტარი.

ახმეტის მტს-ის დირექტორი ბოგბიძე
პოლიტგანყოფილების უფროსი ხიდაშელი

ილო მოსაშვილი

ფოლადმა სხვაგვარად იწყო წრთობა

წარსული საუკუნის უკანასკნელი გაზაფხული განახლების მახარობელ მერცხალივით მოფრინდა საქართველოში. 1899 წლის 19 აპრილს თბილისელმა მოწინავე მუშებმა ლოტკინის მთაზე პირველად აფრიალეს თავისუფლების წითელი დროშა. ეს დროშა ჭაბუკმა სტალინმა აღმართა ჭადარა თბილისის თავზე.

მეორე გაზაფხული მლაშე ტბის ფერდობებიდან შემოვიდა თბილისში. ქედებზე ჩამოფენილი პირშავი ღრუბლები გარიჟრაჟისას აჭყარა და მაისის იმ ერთმა მადლიანმა დილამ მზის თვალი დაანათა მთვლემარე ქალაქს.

თბილისს იმ ღამეს გუშინდელივით ეძინა, ტკბილად და განცხრომით ეძინათ ვერცხლისქმრიან ახალოხებსა და მუნდირებს, დუქნებსა და დარბაზებს, მხოლოდ რკინიგზის სახელოსნოების უბანი მოუსვენარი ლოდინით უცდიდა მოახლოებულ განთიადს.

და ინათა კიდეც.

ნელა, შეუმჩნევლად, როგორც ლანდები, სათითაოდ, ქუჩებიდან და ბილიკებიდან მლაშე ტბის ფერდობს შეეფინენ ცეცხლისა და დაზგების, რკინისა და ფოლადის პირველი თბილისელი ოსტატები. მიდიოდნენ ხალისიანად, წელში გამართულნი, თითქო მზის შესახვედრად მიიჩქაროდნენ და როდესაც უკანასკნელი აღმართიც აიყვანეს, ჭრელყელსახვევიანი ჭაბუკი წინამძღოლი ბორცვზე შესდგა და მას ირგვლივ ხუთასამდე თავშეფიცული მუშა კედელივით შემოერტყა.

— გაუმარჯოს პირველ მაისს! — გაისმა ერთსულოვანი შეძახილი და ახლად გაღვიძებულ თბილისს მლაშე ტბის ქედებიდან მნათობივით გადმომდგარ წითელი დროშის სინათლემ დაანათა.

ეს დროშა ისევ ჭაბუკმა იოსებ სტალინმა აღმართა, და 1900 წლის 22 აპრილის ეს ბედნიერი, ისტორიული დილა, მეოცე საუკუნის განთიადს ცისკარივით დაადგა.

ამ დილას ამხანაგ სტალინის მგზნებარე სიტყვამ მოწოდების ზარივით დაჰკრა და უკვე სამი თვის შემდეგ, როგორც ერთი კაცი, საომრად ფეხზე დააყენა რკინიგზის სახელოსნოების მუშები. გრანდიოზული გაფიცვის ტალღამ ოდესღაც მშვიდობიანი თბილისის მოედნებსა და ქუჩებს მრისხანე ქარიშხალივით გადაუარა.

ერთი წლის შემდეგ მუშათა საერთაშორისო დღესასწაულის ელვარე დროშა უკვე შუა ქალაქში აფრიალდა. ამ დღესაც რკინიგზის სახელოსნოებისა და თბილისის სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მრისხანე არმიას, კვლავ ახალგაზრდა სტალინი გაუძღვა წინ...

მას შემდეგ ორმოცდამესამე გაზაფხულია.

ოდესღაც ჩამორჩენილი, ჟანგში, მტვერსა და ტალახში ჩაფლული უბრალო სახელოსნოები დღეს უზარმაზარ სოციალისტურ ქარხანად, ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა ინდუსტრიის სიამაყედ გადაქცეულა. მასში ამ ნახევარი საუკუნის წინათ უბრალო მღებავად მუშაობდა საბჭოთა კულტურის გამოჩენილი მშენებელი, დიდი რუსი ხალხის საამაყო შვილი, უდიდესი მწერალი მაქსიმ გორკი. აქვე, 1900 წელს ხარატად მუშაობდა, ამჟამად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დიდი სტალინის ძველი თანამებრძოლი და მეგობარი ამხ. მ. ი. კალინინი.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნის მუშათა მრავალრიცხოვანი კოლექტივი ამ სახელებს სათუთად ინახავს და ყოველდღიური თავდადებული შრომით ცდილობს საბჭოთა ხალხის დიდი და წმინდა სამამულო ომის ამ ისტორიულ დღეებშიც იყოს ისეთივე, როგორც იმ პირველ გაზაფხულზე. დიდი სტალინის წინამძღოლობით თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრეზე მედგარი და შეუპოვარი იერიშით რომ მიდიოდა.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა ერთ დიდ საომარ ბანაკად გადაქცეულა. ყველაფერი ფრონტისათვის, ჩვენი სახელოვანი, ძლევამოსილი წითელი არმიისათვის! ყველაფერი ვერაგსა და მუხანათ ჰიტლერელ ყაჩაღებზე სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის! — მხოლოდ ამ ფიქრით ცხოვრობს დღეს მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყანა.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამაც, ყველა მისმა საამქრომ, ყველა ბრიგადამ და დაზგამ, სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე საომარ ყაიდაზე გარდაჰქმნა თავისი მუშაობა. შეუნელებელი ტემპებით შრომა რაც შეიძლება მეტი პროდუქციისათვის, მისი მაღალი ხარისხისათვის, ყველგან და ყველაფერში უსასტიკესი ეკონომიისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, — აი ის ამოცანები, რომელთა განუხრელად შესრულება მიზნად დაისახეს ქარხნის საამქროებმა, ბრიგადებმა და მოწინავე მუშებმა.

ქარხნის 377 ორასოვანი სტახანოველი წინ უძღვის და თავდადებული შრომის მაგალითს აძლევს მუშების მთელ კოლექტივს, რომელიც დღითი დღე ცდილობს მხარდამხარ მიჰყვეს მოწინავე ამხანაგებს საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებაში. ქარხანამ 1941 წლის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა. კიდევ უფრო მეტის წარმატებით შესრულებულ იქნა სპეციალური დავალებების გეგმა ამავე წლის მეორე ნახევარში. 1942 წლის პირველი თვეები კი ქარხნის მუშაობის ომის საჭიროებისათვის ძირეულად გარდაქმნის ნამდვილ გამარჯვებათა თვეებია.

ნახევარ საუკუნეზე მეტს ქარხანა მხოლოდ რკინიგზის მეურნეობას ემსახურებოდა, მისი მრავალრიცხოვანი ღუმელები და დაზგები, მისი სამჭედლოები, მექანიკური, საქვაბე და სავაგონო საამქროები, მისი შემკრები და ამწყობი ბრიგადები მხოლოდ რკინიგზას უვლიდნენ, მის მოწყობილობასა და მანქანებს აუმჯობესებდნენ, აახალგაზრდავებდნენ. დაზგებსაც და ოსტატებსაც, ზეინკლებსა და ხარატებს ნაჩვევ სამუშაოზე ჰქონდათ ხელი გაწრთობილი და დაგეშილი... ახლა კი საბჭოთა ქვეყნის სამამულო ომმა ჰიტლერულ ურდოებთან მტრის გასანადგურებელი იარაღი მოითხოვა, მშვიდობიან რკინასა და ფოლადს ჩვენი წმინდათა-წმინდა მიწა-წყლის დაცვა დააკისრა.

და ძველს ხელობაზე გავარჯიშებულ დაზგებთან და ჩარხებთან ახალი დაზგები და ყალიბები გაჩნდა, ფოლადმა სხვაგვარად იწყო წრთობა, ცეცხლმა და ორთქლმა უსულო საგნებსა და ნივთებსაც საომარი სული ჩაუდგა.

ქარხნის სახელოვანი მჭედელი, ლენინის ორდენოსანი ამხ. კოტე ილურიძე, რომელიც წინათ გავარვარებულ რკინასა და ფოლადს თიხის ცომივით როგორც უნდოდა ისე ზელავდა, ახალი წარმოების ათვისების პირველ ხანებში სამ დღესა და ღამეს არ გასულა ქარხნიდან, რომ ამავე ფოლადისათვის მტრის გამანადგურებელი ცეცხლიანი ენა და სული ჩაედგა. ჭკვიანი ადამიანის მახვილმა გულისყურმა და ოსტატის ნაცადმა ხელმა მალე დაიმორჩილეს ჯიუტი საქმე და იგი ახლა ისევ თიხასავით თავისუფლად ზელს და აწრთობს ბასრსა და მტრისათვის მრისხანე საომარ ფოლადს.

ორდენოსანი ხარატი ამხ. ი. ხაჯალია, ეს მართლა და მადლიანი ხელის კაცი, რა საქმეს მოეკიდება, რომ დავალება თავის დროზე, გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად არ შეასრულოს. დღეს მისი დაზგაც უჩვეულო, რთულ საქმეს მოსჭიდებია და საათივით გაზომილად სთლის და სჩარხავს მტერზე გამარჯვების იარაღს. ჩურჩულით სრიალებს უცნაური სამართებელი და კრიალა ფოლადს სათუთად ჰპარსავს, ლითონის ხუჭუჭი ბურბუშელა აბრეშუმივით წვება და იკეცება დაზგის გარშემო. საკმარისია გულისყურმა წამით გიღალატოს და ერთი ზედმეტი მისხალი ლითონი მოგტაცოს ჩარხმა, მთელი მუშაობა ფუჭად ჩაივლის, მებრძოლს იარაღი უღალატებს, როგორც ვადაში გადატეხილი ხმალი. ქარხანა ამხ. ხაჯალიას გამოცდილ ხელსა და თვალს ენდობა და მას მიტომ დააკისრა ასეთი რთული საქმე.

მუდამ წყნარი და მშვიდი, თავის საქმეზე მუყაითი ზეინკალი ამხ. ს. ბაბაევი წინათ საბარგო-სავაგონო საამქროში მუშაობდა, მას ვაგონის [illegible] გამოშვებაში არაერთი საკავშირო რეკორდი დაუმყარებია. ექვსასი, რვაასი, ათასი პროცენტით არაერთხელ შეუსრულებია თავისი საწარმოო გეგმები, ახლა იგი ისევ ლითონის [illegible] ბუდეებზე მუშაობს, მაგრამ ეს დამრგვალებული კოლოფები ახლა სხვა ხელსა და გულისყურს მოითხოვენ, რომ ჩვენს მებრძოლებს საიმედო იარაღად ჰქონდეთ ხელში.

ქარხნის გამოჩენილი სტახანოველის, ორდენოსან მ. გეწაძის და ს. ამიროვის მოწინავე ბრიგადები თავის საწარმოო გეგმებს მუდამ სამჯერ, ოთხჯერ და ხუთჯერ გადაჭარბებით ასრულებენ. ათასოვანი მღარველი გურასპაშვილი, ხარატი გრიშკო, შემდუღებელი ნ. დემეტრაშვილი, წარმოებაში დაბრუნებული ოსტატი ზეინკალი შ. ჯლანტიაშვილი, სტახანოველები ი. ჭუმბურიძე და შ. ზაალიშვილი, 70 წლის მოხუცი მუშა ნ. ცილიკინი, ქარხნის სახელოვანი მუშა ქალები, რომლებმაც წითელ არმიაში გაწვეული ქმრები და ძმები შეცვალეს, მ. ხუბულური, მ. პეტრენკო, ნ. ცოტნიაშვილი და მრავალი სხვა, — აი იმ მოწინავე ადამიანთა სახელები, რომლებიც თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალრიცხოვან კოლექტივს წინ მიუძღვიან, როგორც სოციალისტური შრომის ნამდვილი გმირები და სახელოვანი მებრძოლები.

ფაშისტური გერმანიის მტაცებელ ურდოების შემოსევამ ჩვენს ქვეყანაში მთელი საბჭოთა ხალხი აავსო მტრისადმი ულმობელი და სამართლიანი შურისძიებით და როგორც ერთი კაცი, ფეხზე დააყენა ჩვენი წმინდათა-წმინდა მიწა-წყლის, ჩვენი დედა-სამშობლოს პატივისა და ღირსების დასაცავად. ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის გამარჯვებებმა ფრონტზე, მისმა გმირულმა ბრძოლამ მუხანათი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ გმირული შეუპოვარი შრომისათვის დასძრა ჩვენი მრეწველობისა და საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველთა ურიცხვი არმია.

ფრონტი მოითხოვს—უნდა შესრულდეს! — ასეთია კანონი.

ასე სწერდა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი თავის წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების მოწოდებაში საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშებს, მუშაქალებს, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებს.

მათი მოწოდება მთელ საბჭოთა საქართველოს მოედო. მათმა ძახილმა მტერთან შეუპოვარ ბრძოლაში ჩაბმულ ჩვენს მეომრებამდეც მიაღწია ფრონტზე.

№ ნაწილის პირადი შემადგენლობა, სადაც მეთაურად კაპიტანი ნ. სიხარულიძე და კომისრად უფროსი პოლიტხელი ნ. აბალაკი, თავის კოლექტიურ წერილში ყირიმის ფრონტიდან გაზით „კომუნისტის" რედაქციის შემდეგს სწერენ:

— ჩვენი ნაწილის მებრძოლები სანგრებში გაიცნენ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის შესანიშნავ ინიციატივას წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში. ჩვენი მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები რწმენას გამოსთქვამენ, რომ საქართველოს ყველა მშრომელი მხურვალედ გამოეხმაურება ამ მოწოდებას. იცოდეთ მეგობრებო! თქვენი მიღწევა—ჩვენი მიღწევაა ფრონტზე, თქვენი რეკორდები დაზგებთან — ჩვენი რეკორდებია მედგარ შეტევაში მოსისხლე მტერზე. ჩვენს წითელარმიულ სალამს ვუძღვნით ქარხნის სტახანოვურ ბრიგადებს. ჩვენი სალამი ყველას, ვინც ჩვენი გამარჯვებისათვის იბრძვის!

ჩვენი სახელოვანი მებრძოლები ფრონტზე და მთელი ჩვენი ხალხი ზურგში ერთმანეთს უსმენენ, ერთმანეთზე ზრუნავენ და ფიქრობენ. ჩვენი გამოჩენილი სტახანოველების წარმატებები ქარხნებსა და მაღაროებში, საამქროებსა და ბრიგადებში, ჩვენს გმირ მებრძოლებს კიდევ უფრო აღაფრთოვანებენ ახალ-ახალ საგმირო საქმეებისათვის ფრონტზე.

— ჩვენს ნაწილშიც გაშლილია წინასამაისო შეჯიბრება, კარგად იბრძვიან ასეულები, სადაც პოლიტხელმძღვანელებად ამხ. რ. ნუცუბიძე, კ. კეჟერავა და ა. ბარსეგიანი არიან. ჩვენ კიდევ უფრო მაგრად დავცხებთ მტერს, მტაცებელ ჰიტლერელთა ბრბოები განადგურდებიან, წინ—გამარჯვებისაკენ!

ასე ამთავრებენ თავის წერილს ყირიმის ფრონტის მებრძოლები.

ამხ. ილურიძისა და გეწაძის, ამხ. ხაჯალიას და ბაბაევის წარმატებებს, მთელი ქარხნისა და თითოეული დაზგის საწარმოო მიღწევებს ჩვენი გმირი მებრძოლები ასეთი სიყვარულით ეხმაურებიან და, კიდევ უფრო აღფრთოვანებულნი, მტრის ულმობელი განადგურებით უპასუხებენ.

— გამარჯვება ზურგში — გამარჯვებაა ფრონტზე!—ასე გვითვლიან ჩვენი ძმები და შვილები ბრძოლის ველიდან.

— ფრონტი მოითხოვს—უნდა შესრულდეს! —ასე უპასუხებს ქვეყანა.

თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშებმა პირველი გაზაფხული გამარჯვებით დაიწყეს. მათ თავისუფლებისათვის ბრძოლაში ახალგაზრდა სტალინი გაუძღვა წინ—და ეს უკვე გამარჯვება იყო.

ორმოცდამესამე გაზაფხულზე, თავისუფლებისათვის, სამშობლოსათვის ბრძოლაში მთელ საბჭოთა ქვეყანას მიუძღვის დიდი სტალინი, სტალინი — მამა და მასწავლებელი. სტალინი —ბელადი და ბრძენი მხედართმთავარი. და ეს უკვე ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გამარჯვებაა.

მისი წინამძღოლობით ყოველთვის გაგვიმარჯვნია და გავიმარჯვებთ კიდეც!

თბილისის პიონერთა სასახლის მსროლელთა წრის წევრები, ფრიადოსანი პიონერები: გ. ბახტაძე და კ. მებადური, რომლებმაც მცირეყალიბიანი შაშხანით მოახვედრეს: პირველმა 30 შესაძლებლიდან 28, მეორემ — 29.

ფოტო რ. აკოფოვისა

ᲜᲝᲠᲩᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘ

„ჩვენ ბევრნი ვართ,
ყველას ვერ ჩამოგვახრჩობთ!"
საშა ჩეკალინი.

დიად სტალინურ ეპოქაში აღზრდილი საბჭოთა ბავშვები ღრმად განიცდიან სამამულო ომის მრისხანე დღეებს. სოციალისტური სამშობლო აძლევდა და ახლაც აძლევს მათ ყოველივეს, რაც რამ საუკეთესო აქვს. ისინი გარემოსილი იყვნენ, და ახლაც, ამ მძიმე დღეებში გარემოსილი არიან განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით. სამამულო ომმა მძიმე ჭრილობები მიაყენა მათს ბავშვურ გულს, ისინი ღრმად განიცდიან სამშობლოს ტკივილებს. ეს მრავალმილიონიანი თაობა ერთსულოვნად მზად არის ყველაფერი გააკეთოს ოღონდ დაეხმაროს თავის აღმზრდელ დედას—საბჭოთა სამშობლოს.

ეს პატარა ბიჭები და გოგონები არ ზოგავენ ენერგიას, ძალას, ღონეს, რომ თავისი პატარა ხელებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სამამულო ომის პერიოდში ისინი თითქოს უცებ გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ, მათ იციან, რომ მთელი ჩვენი ზურგი ფრონტისათვის მუშაობს, მათი ბავშვური გონება უფრო გამჭრიახი და მოხერხებული გახდა, მათი შრომა მრავალფეროვანი.

როდესაც როსტოველი პიონერები ფანჯრებიდან ადუღებულ წყალსასხამდნენ მშობლიურ ქალაქში შემოსული ვერაგი მტრის ჯარის ნაწილებს, ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში ბავშვები თბილ ხელთათმანებს, წინდებს და ყელსახვევებს ქსოვდნენ წითელარმიელებისათვის. თემურელთა რაზმებმა მთელი მოძრაობა შექმნეს. ისინი ეხმარებიან წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახებს. თვალყურს ადევნებენ პატარებს, ასრულებენ ყოველგვარ საოჯახო საქმეებს და შრომას უმსუბუქებენ წითელარმიელთა ცოლებსა და დედებს. თბილისში მოწინავე თემურელები არიან: თინა ხუციშვილი (34-ე სკოლა), თამარ კახიანი (რკინიგზის მე-2 სკოლა), ოთარ მელიავა (27-ე სკოლა), ციალა ცქიტიშვილი (მე-15 სკოლა), ზოია კრასივინა და სხვა მრავალი. პიონერები გულმოდგინედ ემსახურებიან ჰოსპიტალს, უწყობენ კონცერტებს. მებრძოლებს უყვართ ბავშვთა გულწრფელი შემოქმედება და სიამოვნებით უსმენენ მათ.

სამამულო ომის დღეებში ბავშვები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან სამხედრო საქმით. პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში ყველაზე მეტად ეტანებიან ნორჩ ვოროშილოველისებურ მსროლელთა, მეტყვიამფრქვევეთა, ტურისტთა, აეირომოდელისტთა, ნორჩ ტოპოგრაფთა, მემტრედეთა, გემების მაკეტების მკეთებელთა და სხვა სამხედრო ფიზკულტურული ხასიათის წრეებს. ბავშვები არა მარტო დაინტერესებულნი არიან ამ წრეებით, არამედ საუკეთესო მაჩვენებლებსაც იძლევიან. 28-ე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე კარლო მებადურმა სროლაში 30 შესაძლებელი ქულიდან დააგროვა 29 ქულა, გაიოზ ბახტაძემ 30 ქულიდან—28. 101-ე სკოლის მეიქვსე კლასის მოსწავლე შაპოტაშვილი წარჩინებული მეტყვიამფრქვევეა. ოქტომბრილი რამაზ ლამბაშიძე ისე დახელოვნდა სამხედრო გემების მოდელების დამზადებაში, რომ მათი თითოეული შემადგენელი ნაწილიც კი ზეპირად იცის. ასეთივე ინტერესით მუშაობენ გემების მოდელებზე ირაკლი გოზაშვილი, ომარ ფარულავა, უშანგი დარბაისელი და სხვა ბავშვები. მქარგავთა წრეებში დიდი ოსტატობით ქარგავენ ტილოზე ამხანაგ სტალინის პორტრეტს. ბავშვები დიდი სიყვარულით კერავენ და ქარგავენ წითელარმიელებისათვის გასაგზავნად ცხვირსახოცებსა და პირსახოცებს, ჩვენი სახელოვანი მებრძოლების პორტრეტებს. ციმა ინაშვილი, ლამარა და ნელი ქაჟიკაშვილები, ლენა გრიგორიანი სასახლეში მოწინავე მქარგავების სახელს ატარებენ.

დიდი ინტერესით მუშაობენ ბავშვები ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიებში. განსაკუთრებით ყურადღებით სწავლობენ მომწამვლელ ნივთიერებათა კლასიფიკაციას, მათი თვისებების გამოყენებას და მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე, ცეცხლწამკიდ ბომბებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს და სხვა ამავე ხასიათის თემებს.

სამშობლოს სიყვარულს ყველაფერზე მაღლა აყენებენ ჩვენი ბავშვები. განსაკუთრებით ამ გრძნობებს ამოიკითხავთ მათს შემოქმედებაში, რომლის უკანასკნელი პერიოდის თემატიკა სამამულო ომი და მისი გმირებია. მათი ლექსები გმირობასა და ვაჟკაცობას უმღერიან.

„რა შეაშინებს ვაჟკაცს გულზვიადს,
თუ კი მამული საფრთხეში არის"

სწერს მოსწავლე სამგულოვი. ბავშვები თითქმის ერთხმად მიმართავენ ფრონტზე წასულ ნათესავ-ნაცნობებს:

„მებრძოლ ვაჟკაცებს გმირობა შვენით,
თქვენც სამშობლოსთვის გასწირეთ თავი".

და თუ სამშობლო ასეთივე თავგანწირვას მოითხოვს მათგან — ბავშვებისაგან, — ისინი მზად არიან:

„ჩვენ, პატრიოტებს საბჭოეთისა,
არ შეგვიდრკება მამაცი გული
თავი გავწიროთ სამშობლოსათვის,
მტერი იქნება დამარცხებული".

ბავშვებმა იციან—უფრო კარგად რომ ემსახურონ სამშობლოს, გაიგონ აწმყო, კარგად უნდა იცოდნენ წარსული. და აი ისინი მხურვალედ დაეწაფნენ ისტორიულ თემებს, ისტორიის კაბინეტებში მათ უკვე გაიცნეს და შეისწავლეს რუსი ხალხის ბრძოლა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, პეტრე პირველი და მისი ეპოქა, საქართველოს ისტორიიდან: ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. აი თემები, რომლებსაც ისინი ეცნობიან და ამუშავებენ.

ჩვენს ბავშვებს უსაზღვროდ სძულთ კაციჭამია ფაშისტები. როდესაც ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ გამანადგურებელი იერიშები მიიტანა ვერაგი მტრის წინააღმდეგ ფრონტის ყველა უბანზე და მოსკოვთან სასტიკად დაამარცხა პირსისხლიანი ფაშისტები, წითელი არმიის წარმატებებით აღტაცებული ბავშვების ერთი ჯგუფი თბილისიდან ფრონტის ერთ-ერთ უბანზე სწერდა მებრძოლებს: „გავა კიდევ რამდენიმე თვე, მტერი დამარცხდება. გაზაფხული იქნება მაშინ. ჩვენ შეხვედრას გავუმართავთ ძლევამოსილებს".

ამ დიად შეხვედრას მზამზარეულად კი არ ელიან ჩვენი ბავშვები, არამედ ცდილობენ თავისი პატარა ხელებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ᲛᲐᲠᲒᲝ ᲗᲝᲛᲐᲫᲔ

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲡ

თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების ინიციატივით მოლოტოვის რაიონის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა ჰოსპიტლისათვის შეაგროვეს სხვადასხვა ნივთები.

ბავშვებმა სულ მოკლე ხანში ჰოსპიტლისათვის შეაგროვეს 30 ბალიში, 100 თეფში, 50 საფერფლე, 80 ხელსახოცი, 80 ცხვირსახოცი, 15 თერმომეტრი, 100 კოვზი, 100 ჩანგალი, 10 გრაფინი, 50 სხვადასხვა წიგნი, 20 ცოცხალი ყვავილი ქოთნებით. აღნიშნული ნივთები 30 აპრილს გადაეცა ჰოსპიტალს.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა მშობლებმა და საბავშვო ბაღების აღმზრდელებმა ჰოსპიტლიდან გამოიტანეს 400 ცალი თეთრეული, რომელიც საჭიროებდა დაუთოებას, ღილების დაკერებას, მოკერვას და სხვ. ამ სამუშაოს პატრიოტი ქალები დიდი მონდომებით ასრულებენ.

ს. ᲤᲐᲨᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ

გაზაფხულმა მწვანე ყდაში ჩასვა კახეთი. ვაზმა კვირტი გაშალა და შეფოთლილი ბაღვენახები ატმისა და ალუბლის ყვავილებით აჭრელდა. ლაჟვარდში ჩამჯდარა მზით ავსილი ალაზნის ლანდშაფტი: ბიბინებს, ღელავს, ზურმუხტ ჰავლებად ირხევა მუხლამდე შემოძახილი ჯეჯილები. მათ შორის კი თვალგადაუწვდენ შავ ნაბდებივით გაშლილ ახლად ნაფარცხ მინდვრებში დუღს ხალისიანი შრომა.

ასეთი ხალისიანი შრომით გახსნეს საგაზაფხულო შრომის ფრონტი კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის" ენტუზიასტებმა. ფართო ნახნავებში, ვენახებში, საქონლის ნახირებსა [...]

[...] წლიური შემოსავალი შარშან ორნახევარ მილიონ მანეთს აღწევდა. ეს ციფრი თავისთავად მეტყველებს იმ დიდ წარმატებებზე, რაც არბოშიკელებმა უკანასკნელ წლებში მოიპოვეს და რის გამრავლებასაც თავდადებული შრომით ცდილობენ ამჟამად—სამამულო ომის მრისხანე დღეებში.

* * *

წელს „წითელ არბოშიკს" საპატიო თასის შენობის გამოჩენა ხვდა წილად. იგი ინიციატორი გახდა აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს შორის სოციალისტური შეჯიბრების [...]

[...] მუშაობა ავილოთ. იგი გამოცდილი მწყემსია, თავისი საქმის სამაგალითო მცოდნე და საკოლმეურნეო დოვლათისათვის გულშემატკივარი. ვასილამ წელსაც მისთვის ჩვეული მზრუნველობით ჩაატარა დოლი და ნამატი მთლიანად შეუნარჩუნა ფერმას. მოხუცმა მეცხვარემ, ბრიგადირმა ფირა ტურტურაშვილმა ისე ისახელა თავი, რომ წელს ორი ფერმა ჩაიბარა და ორგანვე საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია. მემინდვრეობის სტახანოველი ქალების მაგალითი ვთქვათ: ბევრმა მათგანმა წარმატებით შესცვალა ფრონტზე წასული მამაკაცი, დაეუფლა მის პროფესიას და ნორმებს 300-400 პროცენტით ასრულებს.

ასეთები არიან სტახანოველი ქალები მარო ალადაშვილი, ნინო ლამაზოშვილი, ანეტა სეფიაშვილი, ალექსანდრა თარაშვილი და სხვები, რომლებიც მამაკაცების თანაბარ და ხშირად მეტ შრომადღეებს აკეთებენ. სახელოვან ადამიანთა რიგებში ჩამდგარა მევენახეობის ბრიგადირი გიორგი ალადაშვილიც. [...]

ᲐᲛᲮ. Ვ. Მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲜᲝᲢᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 29 აპრილი (საკდესი). საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტამ „გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საშინელ ბოროტმოქმედებასა, მძარცველობასა და ძალადობაზე ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში და ამ დანაშაულობათათვის გერმანიის მთავრობისა და სარდლობის პასუხისმგებლობის შესახებ" უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მთელმა პრესამ—დედაქალაქისამ და პროვინციისამ—თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა ნოტის ტექსტის შინაარსი. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" ცნობა ნოტის შესახებ გამოაქვეყნა სათაურით: „ჰიტლერელთა მძარცველობის ახალი ნუსხა". გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნმა" ცნობა ნოტის შესახებ დაბეჭდა დიდი სათაურით: „გერმანელთა სისასტიკე ჰიტლერის ბრძანებათა შედეგია".

ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესმა რადიოკომპანიებმა დაწვრილებით გადასცეს რადიოთი ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტას შინაარსი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 29 აპრილი (საკდესი). ინგლისის რადიო და პრესა ვრცლად აქვეყნებს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ბოროტმოქმედებასა, მძარცველობასა და ძალადობაზე ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში. ლონდონის რადიომ დაწვრილებით გადასცა ნოტის შინაარსი ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, უნგრულ, ჩეხურ, პოლონურ და სხვა ენებზე. ლონდონის რადიო ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტას განმარტავს და განსაკუთრებით აღნიშნავს ჰიტლერის მთავრობის პასუხისმგებლობას უმაგალითო ბოროტმოქმედებისათვის, რაც დამპყრობლებმა ჩაიდინეს ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში. ეს ბოროტმოქმედება,—აცხადებს ლონდონის რადიოკომენტატორი, — შემთხვევითი და ცალკეული როდია; იგი სპეციალური ბრძანებისა და წინასწარ გათვალისწინებული გეგმის თანახმად ხორციელდება.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 30 აპრილი. (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, გუშინ, გრიგალის მიუხედავად, ინგლისის ავიაგამანადგურებელთა ესკადრილიები ჩრდილოეთ საფრანგეთში გამოჩნდნენ. ერთდროულად „ბოსტონის" ბომბდამშენთა მცირე შენაერთმა ავიაგამანადგურებელთა ბადრაგობით გადალახა არხი და დიუნკერკისაკენ გაემართა, სადაც, საზენიტო ბატარიების ინტენსიური ცეცხლის მიუხედავად, ინგლისის მფრინავებმა ბომბები დააყარეს დოკებს. თავდასხმის დროს ინგლისის ბომბდამშენები მოწინააღმდეგის არც ერთ ავიაგამანადგურებელს არ შეხვედრიან. ჩრდილოეთ საფრანგეთში დიდ სიმაღლეზე საჰაერო ბრძოლა გაიმართა ინგლისის ავიაგამანადგურებელთა დიდ შენაერთსა და მოწინააღმდეგის 100 ავიაგამანადგურებელს შორის. ინგლისის ერთ-ერთი ესკადრილიის მფრინავმა, რომელზედაც იერიში მიიტანა გერმანიის „ფოკე-ვულფის" 30 ავიაგამანადგურებელმა, მოწინააღმდეგის ერთი თვითმფრინავი მოსპო, მეორე კი სერიოზულად დააზიანა. ინგლისის მეორე ესკადრილიამ ბრძოლა გაუმართა გერმანიის 15 ავიაგამანადგურებელს, რომელთაგან ერთს ცეცხლი მოედო და ქვასავით ჩამოვარდა ძირს.

დიუნკერკზე თავდასხმის დროს ინგლისის არც ერთი ბომბდამშენი არ დაღუპულა. ჩრდილოეთ საფრანგეთში ჩატარებული ოპერაციიდან არ დაბრუნებულა 2 ავიაგამანადგურებელი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲔᲡ „ᲒᲜᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲜᲘᲡ" ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 30 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, წუხელ ინგლისის თვითმფრინავები პარიზის გარეუბან ჟენვილიეში თავს დაესხნენ „გნომისა და რონის" ფირმის საავიაციო მოტორის ქარხნებს. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ, წინასწარი ცნობების თანახმად, თავდასხმა ერთობ ინტენსიური იყო. ამას გარდა, ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის აეროდრომებზე.

29 აპრილს ღამით გერმანიის თვითმფრინავებმა ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებული თავდასხმა მოახდინეს ქალაქ ნორიჯზე (აღმოსავლეთ ინგლისი). წინასწარი ცნობებით, მოსახლეობაში არიან მოკლულნი და დაჭრილნი. მატერიალური ზარალი მოუვიდა სავაჭრო შენობებს და საცხოვრებელ ბინებს. მოწინააღმდეგის რამდენიმე თვითმფრინავი სერიოზულად დაზიანდა, მაგრამ მათი დაღუპვა ჯერ არ დადასტურებულა.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 28 აპრილი (საკდესი). დღეს ინდოეთის ნაციონალური კონგრესის წარმომადგენლებმა, რომლებიც ლონდონს იმყოფებიან, ჟურნალისტებს გადასცეს ნერუს დეპეშა.

ინდოეთის ნაციონალური კონგრესის გადაწყვეტილება კრიპსის წინადადებათა გამო, — ნათქვამია დეპეშაში,—მოყვანილია კონგრესის თავმჯდომარის ვრცელს რეზოლუციასა და წერილებში კრიპსისადმი. 2 აპრილს მიღებულ რეზოლუციაში კონგრესის ლიდერებმა უკმაყოფილება გამოსთქვეს ინგლისის წინადადების გამო, რომელშიც ინდოეთს მომავალში ჰპირდებიან დომინიონის სტატუტს. კონგრესმა დაადასტურა მოთხოვნა ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და დაჰგმო წინადადებათა ის პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ინდოეთის გაყოფის შესაძლებლობას.

„ჩვენ გადაჭრით დავგმეთ,—ნათქვამია დეპეშაში,—ინგლისის წინადადებათა ის ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ინდოეთის ადგილობრივ სამთავროთა მმართველებს (მთავრებს) შეუძლიათ სამთავროთა წარმომადგენლები დანიშნონ დამფუძნებელ კრებაში და ამრიგად უგულებელჰყონ სამთავროს მთელი მოსახლეობის უფლებანი, რადგან კონსტიტუციურ ცხოვრებაში მთავრების ასეთი ჩარევა შეუძლებელს გახდის ეროვნული თავისუფლების შექმნას. გაერთიანებულმა ერებმა ინდოეთის დამოუკიდებლობა უნდა სცნონ. ამავე დროს ჩვენ მოვუწოდებთ ხალხს წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესორს და არავითარ შემთხვევაში არ დაემორჩილოს მას".

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲡᲚᲐᲕᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ, 29 აპრილი (საკდესი). ამერიკელ სლავთა ყრილობა გადაიქცა დემონსტრაციად ევროპის სლავური ქვეყნებიდან გამოსული ყველა ამერიკელის ერთიანობისა და მათი მზადყოფნისა—სრული დახმარება აღმოუჩინონ გაერთიანებული ქვეყნების საომარ ღონისძიებებს.

დამატებითი ცნობებით, ყრილობას ესწრებოდა 2.500-ზე მეტი დელეგატი—რუსთა, უკრაინელთა, ჩეხთა, სლოვაკთა, სერბიელთა, ხორვატთა, სლოვენთა, ბულგარელთა, მაკედონელთა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე გამოქვეყნდა რუზველტის მისასალმებელი დეპეშა.

ყრილობას მოუვიდა აგრეთვე მრავალი მისალმება სხვადასხვა ორგანიზაციისაგან.

ყრილობამ მიიღო მიმართვა ევროპის სლავებისადმი.

— ჩვენი ყრილობა წარმოადგენს 15 მილიონ ამერიკელ სლავს—მამუკებსა და ქალიშვილებს—რუსებს, უკრაინელებს, ჩეხებს, ხორვატებს, პოლონელებს, კარპატელ უკრაინელებს, მაკედონელებს, სერბიელებს, სლოვაკებს, სლოვენებს, ჩერნოგორიელებს, ბულგარელებს. ჩვენ,—ნათქვამია მიმართვაში,—უსაზღვრო აღტაცებით ვადევნებთ თვალს თქვენს ბრძოლას ჰიტლერის ბანდიტური ურდოების წინააღმდეგ. მილიონობით ამერიკელი სლავი მზად არის იარაღი აისხას და მიიღოს მონაწილეობა კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ყრილობამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომელშიც საჭიროდ სცნობს მეორე ფრონტის გახსნას ევროპაში.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია, რითაც დაჰგმო საქმიანობა ცალკეული პირებისა და ჯგუფებისა, რომელნიც მიზნად ისახავენ განხეთქილება შეიტანონ ამერიკელ სლავთა წრეში და შეასუსტონ მათი ნდობა გაერთიანებული ქვეყნებისადმი. რეზოლუცია მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას უაღრესად გადამწყვეტი ზომები მიიღოს „მეხუთე კოლონის" საქმიანობისა და ფაშისტ აგრესორთან „შერიგების" პოლიტიკის ყველა მომხრის წინააღმდეგ.

ყრილობამ შექმნა მუდმივი ნაციონალური კომიტეტი თავის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ყრილობამ მოიწონა სლავ ქალთა ორგანიზაციის შექმნა.

ყრილობამ 21 ივნისი გამოაცხადა „ნაციონალურ სლავურ კვირად" სრულიად-სლავთა ყრილობის მიმართვის პოპულარიზაციის მიზნით მასობრივი მიტინგების მოსაწყობად.

ყრილობა დამთავრდა მასობრივი მიტინგით, რომელშიც 10 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

მოქმედი არმია (დასავლეთის ფრონტი). სურათზე: ლეიტენანტ აიუბ პოტიევის ქვეგანაყოფის მეავტომატეები იკავებენ პოზიციას სოფელ ნ-ის განაპირას.

ფოტო პ. სოტნიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲣᲨᲐ-ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲡ

წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სამშობლოს მამაცო დამცველებო!

მიიღეთ ჩვენგან მხურვალე კომკავშირული სალამი!

თქვენ წილად გხვდათ შეასრულოთ უაღრესად საპატიო და საამაყო მოვალეობა—მკერდით დაიცვათ დიადი სოციალისტური სამშობლო შემოსეული ვერაგი მტრისაგან. თქვენ წილად გხვდათ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეთ ფაშისტ გარეწრებს და მოსპოთ მიხაკისფერი ჭირი.

თქვენმა უმაგალითო გმირობამ მტერთან ბრძოლებში, თქვენმა მამაცობამ, თქვენმა თავგანწირულებამ კვლავ დიდების შარავანდედით შემოსა ჩვენი სამშობლო.

კიდევ უფრო ძლიერად, უფრო გამანადგურებლად დაჰკარით საზიზღარ მტერს მუშათა კლასის საბრძოლო ძალების დათვალიერების დღის — 1 მაისის აღსანიშნავად!

გახსოვდეთ, რომ თქვენთან არიან მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები. გახსოვდეთ, რომ თქვენს დასახმარებლად, მტერზე გამარჯვების დასაჩქარებლად დაუღალავად შრომობენ ზურგში საბჭოთა ადამიანები. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ფრონტმა მიიღოს რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის ვიბრძვით ჩვენც — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდა მუშა-ქალები.

ბევრი მოწინავე და სასახელო ახალგაზრდა მუშა-ქალი ჰყავს ჩვენს ფაბრიკას. კომკავშირელი მუშა ლიდა ციცქიშვილი, რომელიც მოსამზადებელი საამქროს საქსელე განყოფილებაში მუშაობს, ყოველდღიურ გეგმებს 120-130 პროცენტით ასრულებს. ის მუდამ უწუნოდ მუშაობს და საუკეთესო მქსელავად ითვლება. მოწინავე ახალგაზრდა ქალების რიგებში დგანან კომკავშირელი მქსოველები მარო მელაძე, ალექსანდრა ნადეინა და სხვები. მოსამზადებელი საამქროს ახვევი განყოფილების კომკავშირელი მუშა-ქალი თამარ ქავთარაძე 60 ჯარაზე მუშაობს და გეგმებს 120-130 პროცენტით ასრულებს.

ჩვენი ფაბრიკის ახალგაზრდა ქალები წარმატებით ეუფლებიან რთულ პროფესიებს და სცვლიან თქვენთან—ბრძოლის ველზე წამოსულ ამხანაგებს. სამღებრო საამქროს მუშა-ქალი ნადია ებრაელიძე მამაკაცის რთულ პროფესიას დაეუფლა და ქსოვილის გამომყვან დაზგაზე უფროს მემანქანედ მუშაობს. ის გეგმას 160 პროცენტით ასრულებს. მქსოველი ქალი ნინო გულაშვილი ახლა საქსოვი საამქროს მეორე კომპლექტის ქვეოსტატია. მან წითელ ჯარში გაწვეული ამხ. მეზვრიშვილი შესცვალა.

მშობლიური წითელი არმიის გმირო მებრძოლებო! გაძლევთ მტკიცე კომკავშირულ სიტყვას, რომ ჩვენ, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდა მუშა-ქალები, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად, კიდევ უფრო მეტი ენერგიით, კიდევ უფრო მეტი თავდადებით ვიმუშავებთ ფრონტისათვის, თქვენს დასახმარებლად.

დაე თქვენმა გმირობამ ბრძოლაში და ჩვენმა თავდადებამ შრომაში სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს პირსისხლიან ჰიტლერის ავაზაკურ ურდოებს!

დაუნდობლად ანადგურეთ ვერაგი მტერი ხმელეთზე, ჰაერში და ზღვაზე! მოსპეთ მისი ცოცხალი ძალა და ტექნიკა. არ დაივიწყოთ, რომ თქვენ იმედის თვალით შემოგცქერიან მილიონობით ადამიანები.

ლენინ-სტალინის დროშით წინ, გამარჯვებისაკენ, გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა გასანადგურებლად!

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდა მუშა-ქალების სახელით: კომკავშირის კომიტეტის მდივანი **მარო ჩიტიძე**, სტახანოველი კომკავშირელი მუშა-ქალები — **ლიდა ციცქიშვილი, მარო მელაძე, თამარ ქავთარაძე, ალექსანდრა ნადეინა.**

ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშებმა გმირული წითელი არმიის სამხრეთის ფრონტის მებრძოლებს 1.500 მანეთის საჩუქრები გაუგზავნეს. საჩუქრებში ბლომად არის ღვინო, კონიაკი, კონვერტები, ფანქრები და მებრძოლებისათვის საჭირო სხვა ნივთები.

* * *

აფხაზეთის მშრომელებმა საპირველმაისოდ ბევრი საჩუქრები გაუგზავნეს ყირიმის ფრონტის სახელოვან მებრძოლებს. საჩუქრებს შორის არის ხორცი, ქათმები, გოჭები, ყველი, ნამცხვარი, ღვინო, ხილი, თამბაქო, ქაღალდი და სხვ.—საერთო წონით 21 ტონაზე მეტი. გუდაუთის რაიონის სოფელ აჩანდარის კოლმეურნეებმა წითელ მებრძოლებს გაუგზავნეს თერთმეტი სული თხა და ცხვარი, თექვსმეტი ვედრო ღვინო და ბევრი სხვა საჩუქარი. გალის რაიონის მშრომელებმა საბჭოთა ყირიმის მამაც დამცველებს გაუგზავნეს ორმოცდაათი გოჭი, ტონანახევრამდე ხორცი, 1.433 ბოთლი ღვინო, აგრეთვე ჩაი, არაყი, კვერცხი, ხილი და სხვ. გაგრის რაიონის მშრომელებმა სხვა უამრავ საჩუქართან ერთად წითელარმიელებს გაუგზავნეს ტონანახევარზე მეტი შავქლიავის ჩირი, ბევრი ლიმონი და თამბაქო. საჩუქრებთან ერთად მშრომელნი მებრძოლებს უგზავნიან გულთბილ წერილებს, რომლებშიც უსურვებენ მათ ახალ წარმატებებს პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

* * *

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ („კომუნისტის" საკ. კორ.). ტყიბულის მაღაროელები უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ჩვენი გმირული წითელი არმიის მებრძოლებისადმი. 28-29 აპრილს მაღაროელებმა 48 დიდი ყუთი საპირველმაისო საჩუქრები გაუგზავნეს ყირიმის ფრონტის მებრძოლებს. თითოეულ ყუთშია 5 შეკვრა თამბაქო, 5 ლიტრი ღვინო, 5 კოჭი ძაფი, 5 წყვილი აბრეშუმის წინდა, ნამცხვარი და სხვ. მთელი საჩუქრების ღირებულება შეადგენს 14.160 მანეთს.

საჩუქრებთან მაღაროელებმა მებრძოლებს გაუგზავნეს გულთბილი წერილები.

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახ. და ოქტომბერი—„ზღვის ქორი", დამკვრელი — „სუვოროვი", კომკავშირელი—„საბრძოლო კინოკრებული № 8", სპარტაკი — „კინოოპერატორები", ლუქსემბურგის სახ. — „მესაზღვრეები", 26 კომ. სახ.—„იუდენიჩის განადგურება", კომინტერნი — „საბრძოლო კინოკრებული № 2", მეცნიერება და ცოდნა — „საბრძოლო კინოკრებული № 3".

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

ორშაბათს, 4 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის მთავარ დარბაზში შესდგება პროფ. ნ. ბერძენიშვილის ლექცია თემაზე: **„გიორგი სააკაძე"**, შესვლა თავისუფალია.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲝᲡᲢᲐᲢ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სამი თვეა სასპორტო საზოგადოება „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი სისტემატურად ვარჯიშობს და ემზადება სსრ კავშირის გუნდებთან მომავალი შეხვედრებისათვის. თებერვალ-მარტში გუნდი ატარებდა საერთო ფიზკულტურულ ვარჯიშს სპორტდარბაზში — აპრილიდან გუნდი ფეხბურთის მოედანზე გავიდა სავარჯიშოდ.

მაყურებელთათვის უკვე ცნობილ ფეხბურთის ოსტატებს გარდა გუნდს წელს შეემატნენ ახალგაზრდა ძალები: სპარტაკ ჯეჯელავა (უმცროსი), ბოიჩენკო და სხვ.

გუნდის მზადება გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. გუნდს სწრთვნიან საკავშირო კატეგორიის მწრთვნელი ამხ. გალპერინი და სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ამხ. დიაჩკოვი.

გუნდის უფროსად დანიშნულია სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ორდენოსანი ამხ. შ. შავგულიძე.

ამჟამად გუნდი საკონტროლო თამაშს ატარებს. [...]

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

[...]

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხარიშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

უ0 5898